საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 დეკემბერი, 2015 წელი.

№229 (7874)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ვიმედოვნებთ, მალე საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდება

2

კახა კალაძე:

საქართველომ რეგიონში „ენერგეტიკული ხიდის“ ფუნქცია შეითავსა

3

ვახტანგ მაისაია:

რომელია ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი საქართველოსთვის რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში?

2

ორი წარღვნა ბუდაპეშტის ქუჩაზე

მოუწევს „კრაზანა ჟურნალისტს“ კალმის კიდევ ერთხელ მომარჯვება?

5

სომხეთის გამოცდილება ქართული საპენსიო რეფორმისთვის

3

მაღლიერი შეგირდის მოგონება დიდ ხელოვანზე

დიდი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან

4

„შექსპირს რომ და ჰყოლოდა“...

ვირჯინია ვულფის შემოქმედების საიდუმლო

7

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე აღარ არის!..

საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 4 დეკემბრის №378 ბრძანებულებით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით, საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად, საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს, დაბადებულს 1967 წლის 21 დეკემბერს.

ევროპარლამენტარები საქართველოსა და უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას 2016 წლამდე ითხოვენ

ევროპარლამენტმა ღია წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც ხელს 31 პარლამენტარი აწერს. ღია წერილში ავტორები ევროპარლამენტის ლიდერებს, ევროსაბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკს, ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერს, საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარს ფედერიკა მოგერინის და სხვებს მიმართავენ. ისინი ღია წერილში უკრაინასა და საქართველოთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას ითხოვენ.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უკრაინისთვის და საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭება გამოხატავს ევროკავშირის ჭეშმარიტ ძალისხმევას აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ. ეს გადაუდებელია იმ უზარმაზარი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და პროპაგანდისტული ზეწოლის ფონზე, რომელიც ევროკავშირის ასოცირებულ პარტნიორებზე ხორციელდება. მეტიც, ეს გააძლიერებს უკრაინისა და საქართველოს გამბედაობას იმისთვის, რომ გააგრძელონ რეფორმები და მოახდინონ დემოკრატიული ცვლილებები ქვეყანაში“, – ნათქვამია წერილში.

ევროპარლამენტარები მიიჩნევენ, რომ უკრაინელ და ქართველ ხალხს უკვე მომავალ წელს შეეძლებათ, უვიზო რეჟიმის ბენეფიციარები გახდნენ.

თამარ ბერუჩაშვილი დიდ ბრიტანეთში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად თამარ ბერუჩაშვილი დაინიშნა.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში თამარ ბერუჩაშვილი მიიღო. შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობის პერსპექტივა განიხილეს. საქართველოს პრეზიდენტმა ახალდანიშნულ ელჩს მის შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

თამარ ბერუჩაშვილი ახალ თანამდებობაზე მუშაობას 2016 წლის 1 მარტიდან შეუდგება.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი: ვიმედოვნებთ, მალე საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდება

პრემიერმა შესაბამისი განცხადება ენერგეტიკული ქარტიის კონფერენციის მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა, სადაც ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრა.

„დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ ევროკავშირის ერთიან ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციას შევძლებთ. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველომ მოლაპარაკებები ევროკომისიის მხარესთან ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების მიზნით დაიწყო და ეს პროცესი საკმაოდ კონსტრუქციულად მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ, იმედი გვაქვს, სულ მალე საქართველო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მან აქვე წარმატებულ რეგიონულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარმატებული რეგიონული თანამშრომლობის დადასტურება ბაქო-თბილისი-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთკავკასიური გაზსადენის პროექტებია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ენერგორესურსებზე მზარდმა დამოკიდებულებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას და თითოეული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

როგორც პრემიერმა განაცხადა, ყველა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა ენერგოდივერსიფიკაციის ახალი გზების ძიებაა.

მისივე თქმით, საქართველოსთვის დიდი პატივია, რომ წელს მასპინძლობს ევროპის ენერგეტიკული ქარტიის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 50-ზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს.

„მივესალმები, რომ ქარტია ხელს უწყობს სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და სრულყოფას და თავისი საქმიანობით მინიმუმამდე ამცირებს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციებთან და სატრანზიტო პოლიტიკასთან დაკავშირებულ რისკებს. მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზრებზე ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება, დღითი დღე იზრდება ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნა და ამ ვითარებაში დღეს ყველაზე დიდი გამოწვევაა სწორედ ენერგორესურსებზე მზარდი დამოკიდებულება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას და თითოეული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, ყველა სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ენერგოდივერსიფიკაციის ახალი გზებისა და საშუალებების მოძებნა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თავდაცვის სფეროში წარმატებული რეფორმები უცხოელებმა დაგვიფასეს

თავდაცვის სფეროში კორუფციული გარემოს გაუმჯობესების კუთხით საქართველომ სერიოზული პროგრესი განიცადა და მაღალი დონის კორუფციული რისკის ჯგუფიდან (D-) საშუალო რისკის (C) ჯგუფში გადაინაცვლა.

სიახლე მედიის წარმომადგენლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ლოლაძემ თავდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე გააცნო. მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებს კორუფციის რისკების შემცირების და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

2015 წლის მთავრობის ანტიკორუფციული ინდექსი თავდაცვის სფეროში „საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთის“ მიერ გამოქვეყნდა. ჯგუფში საქართველოსთან ერთად ისეთი ქვეყნები არიან, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, სამხრეთ კორეა, პოლონეთი და სხვა. ქვეყნების რანჟირება 5 ძირითადი მიმართულებით ხორციელდება — პოლიტიკური, ფინანსური, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული, ოპერაციებთან დაკავშირებული და შესყიდვების სფეროში არსებული რისკები. ადამიანურ რესურსებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების მიმართულებით საქართველოს ლიდერის პოზიცია უკავია.

თავდაცვის ინდექსი პირველად 2013 წელს გამოქვეყნდა და 82 ქვეყანა 2011-2012 წლების მდგომარეობის მიხედვით შეფასდა. საქართველო მაღალი კორუფციული რისკების ჯგუფის ქვედა ნაწილში მოხვდა (D-) ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა: ბანგლადეში, ბელარუსი, რუსეთი, განა, რუანდა, ჩინეთი და ა.შ.

ქვეყნის მნიშვნელოვანი წინსვლა თავდაცვის სფეროში მიმდინარე წარმატებული რეფორმებითაა განპირობებული. 2013 წელს ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აქტიურად დაიწყო მუშაობა. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა დიდი ბრიტანეთის“ ექსპერტებთან კონსულტაციებით განისაზღვრა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას საჭიროებდნენ. განხორციელდა წარმატებული ცვლილებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, პარლამენტთან, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის, პერსონალის მართვის, შესყიდვების, ბიუჯეტისა და სხვა სფეროებში.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მარჯვნივ ვინც ვწევართ, იმედია, საჯარიმოზე არ გადაგვაწვენენ.

● ეს აპატურაი სპეციალურად შეარჩიეს, თმით რო არ ათრიოს ნატოს რიგში წლობით დაყუდებულმა ხალხმა?

● მეორე წრეზე ნულარ აეტორღიალებით ბიძინას 2012-ს ხელისუფლებაში ტროას ცხენით შეპარული უსაქმურები.

● ვინ არ უნდა იყოს მომავალ პარლამენტში:

ერთკაციანი პარტიების „ლიდერები“; 1991 წლიდან დაწყებული ყოფილი ოდიოზური და მარგინალი პარლამენტარები; ის ბიზნესმენები, რომელთა ბიზნესი ძირითადად საქართველოშია; ის ხალხი, ვისი სრული ბიოგრაფია არავის არა აქვს წაკითხული...

● ნაციონალების პაიკი დეპუტატი ზურაბ მელიქიშვილი აღშფოთებულა მთავრობის იმ განკარგულებაზე, რომლის მიხედვითაც მთავრობის 3 წლის მუშაობის შემაჯამებელი კამპანია 611 500 ლარით უნდა დაფინანსდეს. რა ვიცი, რა ვიცი, ასობით მილიონს თქვენ ხარჯავდით პიარზე და პირად ტაშფანდურზე, საწარმო გაიხსნება თუ ნავთობი ამოხეთქავს სადმე, თქვენი „რუსთავი-2“ 27-ე ნიუსად უშვებს საინფორმაციოში (არც სხვა ტელევიზიები ჩამორჩებიან დიდად), საერთოდ რო ხმას იღებთ, ეგ სხვა თემაა. თქვენადა, ადამიანის ყურამდე როგორ უნდა მივიდეს მნიშვნელოვანი ამბავი, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს, რაღაც დონეზე შეიმსუბუქოს ყოფა-ცხოვრება, პატარა ბიზნესი წამოიწყოს... ან ვისაც უბრალოდ გვაინტერესებს, რა გაკეთდა ამ 3 წელიწადში, რა ვქნათ, ტაროს კარტი დავყაროთ? თქვენ დროს რამდენს ხარჯავდით 19 სამინისტროზე თავის სიპებიანა? გაწყვიტე ხმა, ბლინ, სუპერმარიო.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ დღის ინტერვიუ

რომელია ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი საქართველოსთვის რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში?

ჯიჰადისტური მეგაწრის ლაბირინთები...

„ტერორიზმი გლობალური ომია. ისლამური სახელმწიფო — ეს არის მეოთხე ტალღა, მეგაწრე ჯიჰადისტური გაერთიანებისა, რომელმაც უკვე მთელი მსოფლიო მოიცვა. სამწუხაროდ, ვერც საქართველოში და ვერც სხვა ქვეყნებში ვერ აცნობიერებენ, რამხელა ძალაა ეს და რასთან უწევთ დაპირისპირება. როგორც ჩანს, მსოფლიო მზად არ არის ხალიფატურ გაერთიანებასთან დასაპირისპირებლად!“, — აცხადებს ჩვენთან საუბარში ექსპერტი ვახტანგ მაისაია, რომელიც ამ „სენთან“ საბრძოლველად საერთაშორისო სამოქმედო ცენტრის დაუყოვნებლივი შექმნის შესახებ ამახვილებს ყურადღებას.

— ბატონო ვახტანგ, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამ საზოგადოება დაყო ე. წ. „პუტინისტებად“ და „ერდოღანისტებად“. თქვენი აზრით, ვისი მხარე უნდა დაიჭიროს საქართველომ?

— მესამე ძალა არსებობს — „ტანაისტები“ (ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვამბობ.) ავღანეთის თავდაცვის მინისტრი ტანაი ამბობდა თავის დროზე, ამერიკა-სსრკ-ს დაპირისპირების დროს, მესამე გზაც არსებობსო...

— რა შეიძლება იყოს, ასე ვთქვათ, მესამე გზა ჩვენთვის?

— ბუნებრივია, ომი თურქეთსა და რუსეთს შორის ჩვენს ინტერესებში არ არის, იმის მიუხედავად, რომ რუსეთი ოკუპანტია, ხოლო თურქეთი — ეკონომიკური პარტნიორი. ისტორიული გამოცდილება გვიკარნახებს, რომ თურქეთ-რუსეთის ომში საქართველო ყოველთვის იჭყლიტება, ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ ჩვენზე მოდის. ასე იყო 1918-21 წლებშიც, რასაც ჩვენი დამოუკიდებლობა შეეწირა კიდეც და ა. შ. და ა. შ. ამიტომ საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, ითამაშოს მედიატორის როლი. რამდენად გამოუვა, სხვა საქმეა. რა თქმა უნდა, რთულია კონსენსუსის მიღწევა, მაგრამ ჩვენ მაინც ორივე მხარეს უნდა შევთავაზოთ. ფაქტობრივად, უნდა ვეცადოთ შეიარაღებული დაპირისპირება გადავიტანოთ პოლიტიკურ დონეზე.

— თქვენ უშვებთ, რომ შეიძლება სამხედრო დაპირისპირება მოხდეს ამ ორ ქვეყანას შორის?

— რა თქმა უნდა, ადვილი სავარაუდოა სამხედრო დაპირისპირება, ანუ შეზღუდული ტიპის კონფლიქტი ჩვენ რეგიონში. მაგალითად, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აზერბაიჯანში ვიზიტისას განაცხადა, რომ ყარაბაღთან დაკავშირებით თურქეთი გააქტიურდება. ჩვენ გვახსოვს, რომ შარშან, როცა განახლდა კონფლიქტი ყარაბაღში, თურქეთმა რუსეთთან ერთად პოზიტიური როლი შეასრულა შეიარაღებული დაპირისპირების დაშოშმინებაში. თუკი კვლავ დაძაბული ვითარება შეიქმნება, უკვე რთულია გათვალო, როგორი იქნება თურქეთის პოზიცია და, შესაბამისად, ძალთა თანაფარდობა.

— რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს ჩვენსავე „ცხელ წერტილებში“. მაგალითად, აფხაზეთში, სადაც თურქებიც და რუსებიც საკმაოდ აქტიურობენ?

— დიახ, საინტერესო კვანძი იკვრება. როგორც ვიცით, თურქეთს ეკონომიკური ინტერესების გარდა, პოლიტიკური ინტერესებიც აქვს. ყოველ შემთხვევაში, თურქეთის გარკვეული პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები აფხაზეთის დე ფაქტო ურთიერთობებს საკმაოდ მნიშვნელოვან კონტექსტში განიხილავენ. რუსეთ-თურქეთს შორის კონფლიქტის ახალი საკითხების წარმოქმნამ, შესაძლოა, ქართველებსა და აფხაზებს შორის კვეთის წერტილები გააჩინოს, რაც გარკვეულწილად იმპულს მისცემდა დიალოგის წარმართვას.

— რამდენად მართებულად იქცევა საქართველოს ხელისუფლება ამ ეტაპზე?

— გავლენიანმა ევროპელმა პოლიტიკოსმა ადამ მიხნიკმაც თქვა, რომ ჩვენი ხელისუფლება ჭკვიანურად იქცევა, როცა ინარჩუნებს ბალანსს რუსეთთან და თურქეთთან. ორივე ჩვენი მეზობელია... თან ნუ დაგავიწყდება, რომ რუსეთთან სერიოზული პრობლემები გვაქვს. მაგალითად, ჩემი აზრით, გაისად ინტენსიურად დაიწყება აფხაზეთის „ყირიმიზაციის“ პროცესი, რაც საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობას დაძაბავს...

— თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ საერთაშორისო ტერორიზმმა შეიძლება გააერთიანოს „სამყარო“ და მათ შორის, რუსულ-ქართული ინტერესები...

— ტერორიზმი ცალკე თემაა. საფრანგეთის ინიციატივაა, შეიქმნას ანტიხალიფატური ცენტრი და მას, როგორც ჩანს, უფრო პრაგმატული მიდგომები აქვს. ის კარგად იცნობს თავის ყოფილ კოლონიებს, ზუსტად იცის წერტილები, დარტყმებსაც მიზნობრივად ახორციელებს და ზიანს აყენებს ისლამურ სახელმწიფოს. სავარაუდოდ, ასეთი გაერთიანება ევროკავშირის ეგიდით შედგება.

— ბატონო ვახტანგ, ხომ არ არის დრო, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს და რუსეთის პირველი პირები?

— ჩემი აზრით, ასეთ მაღალ დონეზე შეხვედრა რთულია, მაგრამ შეიძლება უფრო დაბალი რანგის მოხელეების შეხვედრა შედგეს. როგორც ვიცით, საქართველო-რუსეთს შორის არ არსებობს პოლიტიკური დიალოგი. ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში ვართ. ამ ფონზე შეხვედრა, ჩვენი მხრიდან ფაქტობრივი კაპიტულაცია იქნებოდა (რუსეთის ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ, ასე ვთქვათ, ტრაგიკული ინციდენტის გამო, პუტინმა უარი განაცხადა ერდოღანთან შეხვედრაზე, ანუ ყველა უმაღლესი დონის შეხვედრა ჩაშალა...).

ბევრს შეიძლება არ მოეწონოს ჩემი ნათქვამი, განსაკუთრებით ნაციონალების მეხოტბეებს, მაგრამ დღეს ყველაზე მეტად პრაგმატული მიდგომა გვჭირდება. მაგალითად, სახელმწიფო მინისტრების, ან საგარეო მინისტრების დონეზე, შესაძლებელია გაიმართოს მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასთან, ოღონდ არაფორმალურ ვითარებაში, ვიმეორებ, არაფორმალურ ვითარებაში!

— გმადლობთ!

ესაუბრა
თეა მოსია

საქართველომ რეგიონში „ენერგეტიკული ხიდის“ ფუნქცია შეითავსა

საძართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, არსებული ენერგეტიკული რესურსები ჯერ კიდევ დიდწილად აუთვისებელია. მან შესაბამისი განცხადება ენერგეტიკული ქარტიის კონფერენციის მინისტერიალის სესიაზე გააკეთა, რომლის სახელწოდებაა: „რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა ენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გზით“.

„სავარაუდო პოტენციური გენერაციის ნამატი სამხრეთ კავკასიაში ელექტროენერგიით ვაჭრობის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის, თუმცა არსებული ენერგეტიკული რესურსები ჯერ კიდევ დიდწილად აუთვისებელია. ამისთვის გენერაციასა და ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო, რათა რეგიონში ელექტროენერგიით ვაჭრობა განვითარდეს. ელექტროენერგიით ორმხრივი ვაჭრობა რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ელემენტია, თუმცა მრავალმხრივი შეთანხმებებია საჭირო, რომ სრული რეგიონული პოტენციალი იყოს გამოყენებული და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მივიღოთ“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

ვიცე-პრემიერს სჯერა, რომ ელექტრონერგიის დერეფნის განვითარებით მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონი ისარგებლებს.

* * *

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, ზამთარში არანაირი გრაფიკი არ იქნება და ელექტროენერგიის მიწოდება ჩვეულებრივად უწყვეტ, 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება.

როგორც კალაძემ განაცხადა, კომპანიებმა ყველა დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაო ჩაატარეს.

„გარკვეული ადამიანების დაჯგუფება ცდილობდა, რომ ქაოსი შემოეტანა, თითქოს ელექტროენერგიის მიწოდება გრაფიკით იქნებოდა ქვეყანაში. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო და მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მივაწოდო, რომ ეს არის სიცრუე“, — განაცხადა კალაძემ.

* * *

შპპი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (BSTN) პროექტის ლოგიკური გაგრძელება მოიცავს რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებას იმისათვის, რომ რეგიონალური ენერგეტიკული ბაზარი შეიქმნას, — განაცხადა კახა კალაძემ.

„ჩვენი რეგიონისთვის — სამხრეთ კავკასიისთვის ენერგეტიკულ თანამშრომლობას რეგიონალურ დონეზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალმა, დამოუკიდებელმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა განიცადეს ეკონომიკური და სოციალური სექტორების ჩამოშლა, რასაც თან დაერთო პოლიტიკური კონფლიქტები. სამოქალაქო დაპირისპირების და ბლოკადების შედეგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ვაჭრობისთვის არამიმზიდველ ტერიტორიად გადაიქცა, რამაც ეკონომიკის ყველა სფეროზე, მათ შორის ენერგეტიკაზეც დიდი უარყოფითი ზეგავლენა იქონია. გავიდა ხანი და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ სამომავლო თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები ორიენტირებული იქნა კასპიის ზღვის ენერგორესურსებზე და მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე, როგორც რესურსებით მდიდარ სივრცეზე და ნახშირწყალბადების ევროპაში ტრანსპორტირების სატრანზიტო დერეფანზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში აგრეთვე მნიშვნელოვნად იქნა შესწავლილი თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები ელექტროენერგეტიკაში. ამის დასტურია ის, რომ საქართველომ ევროკავშირის ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი განახორციელა, რომლის ოპერირებაც 2013 წელს დაიწყო. პროექტი აფართოებს საქართველოს გადამცემ სისტემას მეზობელი სახელმწიფოების მიმართულებით, განსაკუთრებით თურქეთის მიმართულებით და უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერგიის ექსპორტის, იმპორტის და სატრანზიტო ოპერაციების საიმედოობას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ენერგეტიკაში და მიზნად ისახავს საქართველოსა და თურქეთის ელექტროგადამცემ ქსელებს შორის 700 მვტ. სიმძლავრის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფას. საქართველომ დაასრულა 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობა აზერბაიჯანთან, მოახდინა რუსეთთან დამაკავშირებელი 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია და უახლოეს პერიოდში დაგეგმილი აქვს სომხეთთან დამაკავშირებელი 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის ექსპლუატაციაში გაშვება, არსებული და დაგეგმილი დამაკავშირებელი ხაზების მეშვეობით შესაძლებელი ხდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგოსისტემების დაკავშირება. აქედან გამომდინარე საქართველო იძენს „ენერგეტიკული ხიდის“ ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერგიით ვაჭრობის მოცულობის გაზრდას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

◎ ჩვენ და მეზობელი

სომხეთის გამოცდილება ქართული საპენსიო რეფორმისთვის

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებით შექმნილი პროექტი პრაქტიკულად დამთავრებულია. მისი თქმით, 2013 წელს, ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჯანდაცვის სამინისტროც მონაწილეობს, პარტნიორობას და კონსულტაციებს კი უწევს მსოფლიო ბანკი.

„ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა პროექტი, რომელიც პრაქტიკულად უკვე დამთავრებულია და ის ითვალისწინებს გარკვეული პილოტური ჯგუფების გადაყვანას დაგროვებით პენსიაზე. დაგროვებითი პენსია, თავისი შინაარსით, ნიშნავს იმას, რომ იმ პერიოდში, როდესაც ადამიანი მუშაობს, გარკვეული თანხის აკუმულირებას აკეთებს შესაბამის ფონდებში, რომელიც ეფექტურად მართავს ამ თანხას. დაგროვებითი მეთოდი საშუალებას აძლევს ადამიანს, როდესაც ასაკით პენსიას მიაღწევს, მისი პენსია საგრძნობლად მაღალი იყოს, ვიდრე ყველა დანარჩენის“, — განაცხადა სერგეენკომ.

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ჩვენი უახლოესი მეზობლის, სომხეთის, გამოცდილება ამ თვალსაზრისით..

2010 წელს სომხეთის ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო ხუთი კანონი, რომელიც ახალ, მრავალდონიან (მრავალსვეტიან), საპენსიო სისტემას უყრიდა საფუძველს. კანონი სავალდებულო დაგროვებითი პენსიის შესახებ ოფიციალურად ძალაში 2014 წლის პირველი იანვრიდან შევიდა. სავალდებულო საპენსიო შენატანები გავრცელდა 40 წლამდე ასაკის მოქალაქეებზე (დაბადებულები 1974 წლის შემდგომ). 40 წელს გადაცილებულ პირებს ჰქონდათ უფლება ნებაყოფლობით მიეღოთ მონაწილეობა ამ სქემაში. სისტემაში ჩართვის შემდეგ მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება შეეცვალა საპენსიო სქემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეიცვლიდა ან დაკარგავდა სამსახურს. სწორედ ეს სქემა შევიდა ძალაში სომხეთის რესპუბლიკაში 2014 წლის პირველი იანვრიდან. სავალდებულო საპენსიო სქემის მიხედვით, დარიცხული შემოსავლებიდან შენატანების ოდენობა განისაზღვრება 10 პროცენტით. შენატანებს საპენსიო ფონდში ახორციელებენ დაქირავებულები. ამასთან, მონაწილის მხრიდან შენატანის ოდენობა განისაზღვრება 5 პროცენტით, ხოლო დანარჩენ 5 პროცენტს სახელმწიფო ფარავს. თუმცა დაწესებული იყო სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შენატანის ზედა ზღვარი — 25 000 სომხური დრამის ოდენობით. მობილიზებულ თანხებს განაგებდა აქტივების მართვის ორი კომპანია, რომელიც აკუმულირებული თანხების ინვესტირებას ახდენდა. ამ ინიციატივების პარალელურად, განხორციელდა საგადასახადო სისტემის რეფორმა, შემოიღეს უნიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი, გაუქმდა სოციალური დაზღვევის ფონდი, რომელიც სოციალურ შენატანებს აგროვებდა და პასუხისმგებელი იყო შენატანებზე დაფუძნებული პენსიების გაცემაზე.

კანონის ძალაში შესვლის პარალელურად, ქვეყანაში გაჩნდა საპროტესტო მოძრაობა — სამოქალაქო ინიციატივა „მე წინააღმდეგი ვარ!“. აქციის მონაწილეთა ძირითადი პროტესტი გამოწვეული იყო, საპენსიო რეფორმის ფარგლებში, მათ მიერ განკარგვადი ყოველთვიური შემოსავლის შემცირებით და ხელისუფლების მიმართ არსებული უნდობლობით. პროტესტის პარალელურად, ოთხმა ოპოზიციურმა საპარლამენტო პარტიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ „სავალდებულო დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის გარკვეული მუხლები არაკონსტიტუციურად ცნო. კანონის თანახმად, ადამიანს ევალებოდა კერძო საპენსიო ფონდებში საპენსიო შენატანების განხორციელება და სწორედ ეს იქნა მიჩნეული ანტიკონსტიტუციურად. 2014 წლის 27 ივნისს კანონში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2014 წლის პირველი ივლისიდან საჯარო სექტორის მოხელეებს, დაბადებულებს 1973 წლის შემდგომ, ევალებათ ხელფასის 5 პროცენტის ოდენობის ყოველთვიური „მიზნობრივი სოციალური გადასახდელები“ განახორციელონ. ეს გადასახდელები ჩაანაცვლებს საპენსიო შენატანების ცნებას და, ნაცვლად კერძო საპენსიო ფონდებისა, მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი და მხოლოდ შემდეგ გადანაწილდება საპენსიო ფონდებში. საპენსიო რეფორმაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იქნება კერძო სექტორში დასაქმებულთათვის 2017 წლის ივლისამდე.

ირინა გურული,
რადიო „თავისუფლება“

◎ პანორამა

ფერმერთა საქმიანობის ხელშესაწყობად

ამნისტია მიწით მოსარგებლეებისთვის

მთავრობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და ტექნიკის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით შეუსრულებელ ვალდებულებებზე ამნისტიის გამოცხადებასა და გადაუხდელი პირგასამტეხლოების პატიებას გეგმავს. წინასწარი ინფორმაციით, ჯამში, დაახლოებით, 27 მილიონი ლარის ფინანსურ ვალდებულებაზეა საუბარი. ამნისტიის აქტი, სულ მცირე, 8 000-მდე პირს შეეხება.

მისი მიზანი, როგორც ყველა ამნისტიისა, კეთილშობილურია — მიწის ნაკვეთით და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მოსარგებლე პირებს ტვირთი შეუმსუბუქოს და ამ გზით ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. თუმცა, ისევე როგორც ყველა ამნისტია, იგი გარკვეულ უარყოფით მომენტებსაც შეიცავს კეთილსინდისიერი გადამხდელების მიმართ. კერძოდ, ისინი, ვინც მოახერხა და კეთილსინდისიერად იხადა გადასახდელები, არათანაბარ პირობებში დგებიან და მათი დანახარჯები უფრო მაღალი გამოდის. და მაინც, როგორც წესი, პარლამენტში მსგავს გადაწყვეტილებებს ბევრი მოწინააღმდეგე არ ჰყავს ხოლმე, მით უმეტეს - წინასაარჩევნოდ.

პარლამენტში კი პროექტი უკვე შევიდა. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების ავტორი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემავალი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოა. პარლამენტში ინიციირებული პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების უზუფრუქტის უფლებით მიმღებ პირს ეპატიება სააგენტოსთვის ინფორმაციის წარდგენის ვადის დარღვევისათვის 2016 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით მიმღებ პირს ეპატიება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2014 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადაუხდელობა და გათავისუფლდება ამავე თარიღამდე მიწის ნაკვეთით სარგებლობის გადაუხდელი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

პროექტი ითვალისწინებს ასევე ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრივატიზების (როგორც აუქციონის, ასევე, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით) თაობაზე დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების გადავადებას, სხვა სახელშეკრულებო პირობებისგან გათავისუფლებას, გადაუხდელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას და, ასევე, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის პრივატიზების შემთხვევაში, 2014 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შემძენს, რომელსაც ქონება 100 ლარზე ნაკლებ ფასად არ აქვს გადაცემული, ეპატიება სახელშეკრულებო ვალდებულებების, მათ შორის, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2016 წლის პირველ იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო. ამასთან, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულების ვადა გადაუვადდება 2017 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან გათავისუფლდება.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის იჯარა-გამოსყიდვის ფორმით შემძენს ასევე ეპატიება პირგასამტეხლო და გათავისუფლდება 2014 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

მთავრობის განცხადებით, აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ ფერმერთა საქმიანობის ხელშეწყობას და, ვალდებულებების შესრულების ტვირთის მოხსნისა და გადავადების შედეგად, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

მარინე გურიელიძე

დიდი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან

8 დეკემბერს დიდ ქართველ რეჟისორს, საქართველოს სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს რეზო ჩხეიძეს 89 წელი შეუსრულდებოდა. ღვაწლმოსილმა და ყველასათვის სათაყვანებელმა ადამიანმა, მსოფლიო დონის ხელოვანმა მეტად რთული, მაგრამ შემოქმედებითად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. სიცოცხლის ბოლო ათწლეულში ქართველთათვის სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფ ქვეყანაში ბატონმა რეზომ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, გვერდით უამრავი თანამოაზრე ამოიყენა და ენერგიულად, ისე როგორც ჭეშმარიტ ერისკაცსა და მამულიშვილს შეეფერება, ხმალამოღებული დადგა ქართული სულიერების სადარაჯოზე. ახლა, როდესაც დიდი ხელოვანის სულმა მარადიულ საქართველოში დაივანა, მისი კოლეგები, ნიჭისა და შემოქმედების თაყვანისმცემლები, თანამებრძოლები იგონებენ ამ საუცხოო პიროვნებას. მათ შორისაა საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს ღირსების ორდენისა და დაღესტნის შამილის მედლის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, რეჟისორი და მწერალი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა და მწერალთა კავშირის წევრი ბატონი ალი ავარსკი. ბატონი ალი ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ტიტულებსა და მის შეუფასებელ ღვაწლს ქართულ-დაღესტნური ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებაში იმ დიდ ადამიანებს უმადლის, რომლებმაც ათეული წლების წინ სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელ ყმაწვილს გვერდით დაუდგნენ, თავიანთი ბუმბერაზი მხრებით მართლაც რომ დაიფარეს ბევრი გაჭირვებისგან და, როგორც ბატონი ალი ბრძანებს „ხელი შეუწყვეს დაღესტნური რტოს ქართულ მუხაზე გახარებას“, მათ შორის ერთ-ერთი პირველი სწორედ ბატონი რეზო გახლდათ, რომლის მზრუნველობა და ამაგი დღემდე მოჰყვება ალი ავარსკის, ქართველ ერზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს. სწორედ ამ ურთიერთობებზე სასაუბროდ და დიდი ხელოვნის პატივისცემისა და სიყვარულის დასადასტურებლად გვეწვია რედაქციაში და სიამაყით მოიგონა ჩვენთან საუბარში ბატონი რეზო, რომელიც მშობელ მამასავით დაუდგა გვერდში ცხოვრების გზაზე.

ალი ისაევ-ავარსკი და რეზო ჩხეიძე („დონკიხოტის“ გადაღებისას)

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილე იყო, როდესაც პირველად ჩამოვედი საქართველოში. მრავალ გაჭირვება გადატანილმა ყმაწვილმა კაცმა სალამურზე დაკვრისა და ცეკვის მეტი არაფერი ვიცოდი. პირველად მოვხვდი ჩემთვის „აღთქმულ“ ქვეყანაში. დედაჩემის სიტყვებით ეს იყო სამოთხე. მაგრამ სამოთხეშიც გვერდში მდგომი და გზის გამკვალავი გჭირდება. ჩემი ცხოვრება, ჩემი მომავალი დიდმა რასულ გამზათოვმა განსაზღვრა, რომელმაც შვილივით ჩააბარა ჩემი თავი თავის ძმებს, უდიდეს ქართველ კორიფეებს – ირაკლი აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, ილიკო სუხიშვილს, რეზო ჩხეიძეს. თუ ჩემი სიყვარულის გზა, რომელიც დღემდე მომყვება და სიკვდილამდე მისი ერთგული ვიქნები, ჩემმა მეუღლემ, გამოჩენილმა ქართველმა მუსიკათმცოდნე მზია იაშვილმა განსაზღვრა, ჩემი მწერლობის გზა რასულ გამზათოვმა და ირაკლი აბაშიძემ, ისევე ჩემი სამსახიობო და სარეჟისორო კარიერა ბატონი რეზოსა და გიგა ლორთქიფანიძის გვერდით დგომითა და მამობრივი ერთგულებით განისაზღვრა. ბატონმა რეზომ შეუძლებელი შეძლო და იმ რამდენიმე სტუდენტს შორის, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისში იყვნენ სასწავლებლად ჩამოსული, მე მომცა უპირატესობა. ეს იყო 1970 წელი. „ქართულ ფილმთან“ არსებული სტუდია 1975 წელს დავამთავრე. როდესაც ერთ ადგილზე 70 აბიტურიენტი ვიყავით.ბატონმა რეზომ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მსახიობად მე ჩამრიცხა. იგი გვერდიდან არ მომშორებია მთელი ცხოვრების მანძილზე. მეც დაუღალავად ვშრომობდი, ღამეებს ვათენებდი, რომ ამ დიდი ადამიანის ღვაწლი და ჩემდამი ერთგულება საქმით გადამეხადა. ალბათ ამის დასტურია სამ ათეულზე მეტი ფილმი, სადაც მონაწილეობა მაქვს მიღებული, ურთიერთობები ცნობილ რეჟისორებთან, ხელოვანებთან. გიგა ლორთქიფანიძის ფილმში „წიგნი ფიცისა“, სადაც ორ როლზე მომიწია თამაში, მომანიჭეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. ფილმად გადაღებული ჩემი დოკუმენტური ტრილოგიაც ბატონი რეზოს სულიერი მხარდაჭერის დამსახურებაა, რომელიც მუდამ კეთილ რჩევებს მაძლევდა. **„ეს არის ფილმი პოლიტიკის გარეშე. მაგრამ ის პოლიტიკაზე მაღლა დგას, რადგან გაუღენთილია სიყვარულით. ეს კი მართლაც შეუძლია ალის“.** – ასე შეაფასა ჩემი ფილმი **„საქართველო – დაღესტანი, მიზიდულობის ფორმულა“,** ბატონმა რეზომ. ეს ჩემთვის მართლაც გამარჯვება იყო. დიდი ადამიანი იყო, ღმერთმა მისი სული გაანათლოს.

ალბათ ბევრმა არც იცის თუ როგორი მამაშვილური დარიგებით გამაცილა ბატონმა რეზომ ჩემს მშობლიურ დაღესტანში, სადაც არა მარტო ჩემი მეორე სამშობლოს

ალი ისაევ-ავარსკი, ანა ისაევ-ავარსკი, რეზო ჩხეიძე და რეჟისორი ბეძა ისაევ-ავარსკი

საქართველოს ბედი, ასევე ჩემი მშობლიური დაღესტნისა და ჩემი ხალხის მომავალიც წყდებოდა.

1992 წლის ზაფხულში ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა პიკს მიაღწია. არავინ იქნება ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული. ყველაზე დიდი საშინელება ძმებს შორის შუღლის ჩამოგდებაა. ჩრდილოეთ კავკასიელთა კონფედერაცია აფხაზეთში იბრძვის, იბრძვიან ქართველთა წინააღმდეგ. საჭიროა გონს მოსვლა, ერთი უკმეხი შეძახილი უთვალავი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს, ერთი ტკბილი, გრძნული სიტყვა თაობებს გადაარჩენს. ამ დროს დაღესტანში, მახაჩყალაში ტარდება მსოფლიო თანამემამულეთა კონგრესი. ეს საერთაშორისო დონის კონგრესია. მე მიწვეული ვარ, როგორც დელეგატი საქართველოდან. ყველას გვახსოვს, თუ რა მძიმე წლებია საქართველოსთვის, ვაცნობიერებდი რა მომავალი კონგრესის მნიშვნელობას საკუთარი თავისთვისა და ჩემთვის მშობლიური ორივე ქვეყნისთვის, უყოყმანოდ გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა. არასოდეს დამავიწყდება ბატონ რეზოსთან და ბატონ კაკო დვალიშვილთან შეხვედრა გამგზავრების წინ. **„ალი, ნუთუ შამილისა და რასულის სამშობლო ჩვენს წინააღმდეგ წამოვა საომრად?“** – დაფიქრებით მეუბნება ბატონი რეზო, ჩემი აღმზრდელი მასწავლებელი. ყოველგვარი ღონე უნდა ვიხმარო, ყველანაირი გზა უნდა მოვძებნო, რომ ჩემმა სისხლმა და ხორცმა ამ სამარცხვინო ომში ქართველთა სისხლი არ დაღვაროს. ვისაც კი შევხვდი დაღესტანში, ესენი კი იყვნენ დაღესტნის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდურაზაკ მირზაბეკოვი, რასულ გამზათოვი, გენერალი ტინამაგომედოვი, მფრინავ-კოსმონავტი მაგომედ ტალბოევი – ყველანი დარწმუნებით ამბობდნენ, **იმ საეჭვო პიროვნებებს, რომლებიც საქართველოსთან საომრად არიან მომართულნი, არავითარი უფლება არა აქვთ, დაღესტნელი ხალხის სახელით ილაპარაკონო.** მქონდა შეხვედრა და საუბარი პრეზიდენტ მაგომედ-ალი მაგომედოვთან. მრავალგზის დიალოგებმა დამარწმუნა იმაში, რომ დაღესტანში, ჩემს სამშობლოში საქართველოს არა ჰყავს მტრები. დაღესტნის პრეზიდენტმა მოიწონა ჩემი სითამამე და განმიცხადა: **„გპირდები, ბატონო ავარსკი, რომ დაღესტანი არ მიიღებს მონაწილეობას ომში“.** მან შეასრულა თავისი სიტყვა. ჩემი სამშობლო მართლაც დარჩა ამ სისხლისმღვრელი ომის მიღმა. მე ქართველ ხალხთან და ჩემს აღმზრდელ ბატონ რეზოსთან პირნათლად დავბრუნდი.

როდესაც დოკუმენტური ტრილოგიის გადაღებას შევეჭიდე საქართველო-დაღესტნის მეგობრობაზე, მრავალი ტექნიკური სირთულის წინაშე დავდექი. მაგრამ ისევ ბატონი რეზოს სიტყვებმა მომცა შვება და გადამალახინა ყოველგვარი წინააღმდეგობა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ადამიანის ყურადღებას ვგრძნობდი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გადსაღებად ყველანაირი დანაზოგი გავიღე, საკუთარი ბინის საბანკო იპოთეკით დატვირთვაც კი მომიხდა, მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება, რადგან ამ რთულ გზაზე ისევ ჩემი მასწავლებლის ბატონ რეზო ჩხეიძის სიტყვები მამხნევებს – **„ალი, შენ კინოსთვის ხარ დაბადებული, შენ უკვე დაამტკიცე. ასეთ პირობებში, როცა სტუდია წლობით ვერ იღებს ვერაფერს, შენ სამსერიან ფილმს ხარ შეჭიდებული. კიდევ ბევრი წარმატება გელის“...**

დღეს, როდესაც ჩემი დიდი პედაგოგი და ცხოვრების სინძლეებთან ჭიდილში ხელის შემშველებელი ჩვენს გვერდით აღარ არის, მე კვლავ მისი სიტყვები მაძლევს იმედს, რომ ყველაფერი კარგად იქნება რამეთუ დიდი ადმიანები უკვალოდ არ ქრებიან.

ცხოვრება მიდის. ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჩემს მეორე სამშობლოს, საქართველოს ვემსახურები. მისი დარდითა და სიხარულით ვცხოვრობ. მიუხედავად დიდი ოჯახისა მაინც ობლად ვგრძნობ თავს – აღარ არიან ის ადამიანები, რომლებმაც ცხოვრების გზაზე დამაყენეს, გვერდში დამიდგნენ და გზა გამიკაფეს – ჩემი მეუღლე **მზია იაშვილი, რასულ გამზათოვი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, გიგა ლორთქიფანიძე** და ბოლოს ბატონი **რეზო ჩხეიძე,** რომელმაც წლეულს მარადიულ საქართველოში გადაინაცვლა. ორმოცდაათხი წელი ვულოცავდი ბატონ რეზოს დაბადებს დღეს. ვხარობდით წარმატებებითა და ვეჭიდებოდით სიძნელეებს. წელს ამ მოგონებებით მსურს, გავიხსენო ჩემი დიდი მასწავლებელი და ორმოცდამეხუთეჯერ მივულოცო დაბადების დღე. ამ მარტოობას ღვთის მადლით ჩემი ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო მიშველაძე, ელდარ შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, თამაზ შილაკაძე, დიმიტრი კორძაია მიმსუბუქებენ. მალე 80 წლისა შევსრულდები, ჩემი ცხოვრების მიზანს, საქართველო-დაღესტნის ერთგულება-სიყვარულის ეპოპეას, მეოთხე ფილმსაც დავასრულებ და როცა უფალი ინებებს, პირნათლად წავალ, მივეახლები ჩემს დიდ მასწავლებელს.

ჩაიწერა
მამუკა ვაშაკიძემ

რეზო ჩხეიძე, კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე, მუსიკათმცოდნე მზია იაშვილი, კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე, კინოდრამატურგი კარლო გოგოძე

მხატვარი ტარიელ ძუთათელაძე, რეზო ჩხეიძე, მხატვარი გოგი თოთიბაძე, ალი ისაევ-ავარსკი, არქიტექტორი გიგა გათიაშვილი, ბეძა ისაევ-ავარსკი.

პოეტი რასულ გამზათოვი, ალი ისაევ-ავარსკი, დაღესტნის ა/რ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მაგომედ-ალი მაგომედოვი.

ორი წარღვნა ბუდაპეშტის ქუჩაზე

მოუწევს „კრაზანა ჟურნალისტს“ კალმის კიდევ ერთხელ მომარჯვება?

„ყოველივეს თავისი დასასრული აქვს, ყველაფერი კი გზით იწყება“, ამ ბრძნული ლეკური ანდაზით იწყება, როგორც მახსოვს, დაღესტნური ფოკლორული მასალის მიხედვით გადაღებული არაჩვეულებრივი ქართული ფილმი „ყელსაბამი ჩემი სატრფოსთვის“. ამ ამბავს კი, რომელიც წინამდებარე პუბლიკაციის საბაბი გახდა, დასასრული ჯერჯერობით არა აქვს, ხოლო ყველაფერი... წარღვნით დაიწყო, რომელიც წლეულს, 19 ოქტომბერს, თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩის №6-კორპუსში მოხდა და რომლის შედეგად სამი მოსახლე და პირველ სართულზე განთავსებული ლიბერთი ბანკის ერთ-ერთი სერვისცენტრი ერთიანად დაზარალდა.

ერთი მეზობლიდან მეორესთან წყალი რომ ჩადის დაუდევრობით, მილის დაზიანების თუ რაიმე სხვა მიზეზით, ამით ჩვენს დროში ვერავის გააკვირვებ, იმდენად ბანალური და, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი ამბავია ეს ჩვენს დროში. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ელემენტარულ ყოფით, უკაცრავად და, „ჩლიქზემკიდიაობასთან“ გვაქვს, რომელსაც მოსახლეობის ამა თუ იმ სფეროში მომსახურე კომპანიები, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად იჩენენ ხოლმე. ერთ-ერთმა ასეთმა „დაკიდებულმა“, 76 წლის მარტოხელა პენსიონერმა ლეილა კიკალაშვილმა თავისი გასაჭირის თაობაზე ჩვენს რედაქციას მიმართა და კომპანია **„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“** (GWP) ურთიერთობაში დახმარება გვთხოვა. ქალბატონ ლეილას მომართვას მისი თხუთმეტი მეზობლის ხელმოწერილი განცხადებაც ახლდა და ამ საბუთებით ხელში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მივაკითხე. თუმცა, ვიდრე მომხდარის გამო კომპანიის რეაქციაზე მოგახსენებდეთ, ჯერ თავად მომხდარზე მინდა გიამბოთ, პატივცემულო მკითხველო.

თავის ბინაში რემონტის დროს, ქალბატონ ლეილა კიკალიშვილს წყალგაყვანილობის შელახური მილების გამოცვლა დასჭირდა, რის თაობაზეც 15 ოქტომბერს კომპანიას შესაბამისი განცხადებით მიმართა, რომლითაც აღნიშნულ კორპუსში წყლის მიწოდების ორი საათით შეჩერება სთხოვა. 19 ოქტომბერს დღისით მას ტელეფონით შეატყობინეს, რომ წყალს 22 საათიდან ორი საათით გადაკეტავდნენ. GWP-ს დისპეტჩერის მეორე ზარი ქალბატონ კიკალიშვილის ბინაში 19 საათზე გაისმა: **კანდელაკის ქუჩაზე მომხდარი ავარიის გამო უბანში წყლის მიწოდებას ვწყვეტთ და თქვენც ამით ისარგებლეთო.** არადა, ხელოსანი მას, დისპეტჩერის შეტყობინება-რჩევის შესატყვისად, დათქმულ 22 საათზე ჰყავდა დაბარებული. ქალბატონმა მაინც შეძლო და ის კაცი 19.30 საათზე მოიყვანა. 20 საათზე, წყალი რომ ჩამოიწრიტა, ხელოსანი, რომელსაც წინასწარ ჰქონდა პლასტმასის მილები დაჭრილ-გამზადებული, მუშაობას შეუდგა და საქმესაც აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა, რომ არა გაუთვალისწინებელი რამ: **ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე 20.30 საათზე წყალი ჩართეს(?!),** რომელმაც მე-3 და მე-2 სართულზე ბინები ერთიანად ჩარეცხა, მერე ლიბერთი ბანკის სერვისცენტრიც დატბორა, და კომპიუტერული ტექნიკა გაუფუჭა, რის გამოც მან მეორე დღეს ვერც კი იმუშავა(!).

წინადმებარე პუბლიკაციის მომზადებისას წინ მედო ქალბატონ ლეილა კიკალიშვილის ზემოთ ნახსენები მეზობლების განცხადება, სადაც 15 (თუხთმეტი!) კაცი ადასტურებს, რომ უკლებლივ ყველამ(!) დარეკა GWP-ს დისპეტჩერთან და წყლის სასწრაფოდ გადაკეტვა მოითხოვა, რაზეც დინჯად პასუხობდნენ — **ნუ ღელავთ, ბრიგადას გამოვგზავნით, გადაკეტავენო.** ბრიგადა მართლაც მივიდა ადგილზე და წყალიც გადაკეტა, ოღონდ... 2 (ორი!!) საათის შემდეგ. თუ რას იზამდა მანამდე უკონტროლო წყლის ნაკადი, ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ, თურმე, ნამდვილი ჯოჯოხეთი ქალბატონ კიკალიშვილსა და ბუდაპეშტის ქუჩის №6 კორპუსის სხვა მცხოვრებლებს წინ ელოდათ: **იმის გამო, რომ მანამდე დასველებული პლასტმასის მილები ერთმანეთს კარგად ვერ გადაება, წყლის ხელმეორედ ჩართვის შემდეგ გადაბმის ადგილებმა წნევას ვერ გაუძლო და ნიაღვარმა სადარბაზო იმ ავბედით დღეს ხელმეორედ წალეკა.** ისევ ატყდა GWP-ს ოპერატორთან რეკვა და წყლის კიდევ ერთხელ გადაკეტვის თაობაზე ხვეწნა-მუდარა, მაგრამ, იქ, ისევე, როგორც პირველი ფორსმაჟორის დროს, სანამ გაისარჯნენ, სანამ ხელოსნები გამოგზავნეს, წყლის ნაკადმა თავის საზარალო საქმე ბოლომდე მიიყვანა.

არადა, როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, ბუდაპეშტის იმ ავბედით №6 კორპუსის ეზოში, №8 კორპუსის უკან... GWP-ს ჭა ყოფილა, საიდანაც მილგამსკდარ კორპუსში წყლის გადაკეტვა ხუთი წუთის საქმეც არ იყო, თანაც უბნის დანარჩენი მოსახლეობაც არანაირად არ შეწუხდებოდა(?!).

„ნუთუ ეს არ იცოდნენ წყალკანალის მუშაკებმა, რას მივაწეროთ ყოველივე ეს?“ — წმინდა წყლის რიტორიკულ კითხვას სვამენ კოლექტიურ წერილში ბუდაპეშტის №6-ის მცხოვრებნი.

როგორ არ იცოდნენ, ქალბატონებო და ბატონებო, ოღონდ იმ ღამის დისპეტჩერს

რომ ეს ზეპირად არ ეცოდინებოდა, ამის თქმა ასპროცენტიანი გარანტიით შეიძლება, მაგრამ ასეთი შემთხვევისთვის ხომ წყალმომარაგების სქემები არსებობს, რომლებზეც ჭებია აღნიშნული (ეს ნებისმიერმა „ოროსანმა“ ტექნიკოსმაც კი იცის), რომელშიც ჩახედვა იყო საჭირო?! თუმცა, ამით თავი არავის შეუწუხებია...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ქალბატონ ლეილა კიკალიშვილისა და მისი მეზობლების კოლექტიური განცხადებებით, რომლებსაც აღწერილ ვითარებასთან დაკავშირებით GWP-ში სამი განცხადების შეტანის დამადასტურებელი ტალონები ახლდა, კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსს **თიკო მაკარიძეს** მივაკითხე, რომელმაც საკითხში გასარკვევად რამდენიმე დღე ითხოვა და 18 ნოემბერს რედაქციაში ელექტრონული ფოსტით კომპანია GWP-ს ოპერაციების მართვის დირექტორის მოადგილის **თეიმურაზ ჯანელიძის** ოფიციალური პასუხი მივიღეთ.

ამ საკმაოდ ვრცელი პასუხის მთელი შინაარსის გამეორებით თავი რომ არ შეგაწყინოთ, პატივცემულო მკითხველო, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ დეტალზე ზევით უკვე მოგითხრეთ, მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ, რომლებშიც მომხდართან დაკავშირებით GWP-ს პოზიციაა გამოხატული.

„19 და 20 ოქტომბერს კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ ოთხჯერ გადაკეტა წყალი მაგისტრალური ქსელიდან იმ მიზნით, რომ ბუდაპეშტის №6-ში მცხ. მოქალაქე ლეილა კიკალიშვილისთვის ხელი შეეწყო, შეეცვალა დაზიანებული წყალგაყვანილობა საკუთარ ბინაში. ამის გამო 12 საათის განმავლობაში სასმელი წყლის გარეშე დარჩა ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირების ნაწილისა და მათი მიმდებარე 20-მდე ქუჩის 32 000 აბონენტი“, — ნათქვამია ბატონ თ. ჯანელიძის პასუხში, რის შემდეგ საქმის ვითარებაა აღწერილი, რომლის არსის თაობაზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა კი აქ ორი მეტად საგულისხმო პასაჟია, რომელსაც კომპანია შემდგომ თავის პოზიციის გასამართლებლად იყენებს:

„აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქალაქეს არც სატელეფონო საუბრისას დაუკონკრეტებია, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას სადარბაზოს ცენტრალური დგარის შეცვლას აპირებდა“...

„როგორც გაირკვა მის ბინაში არაკვალიფიციური ხელოსნები მუშაობდნენ და სამუშაო უხარისხოდ შეასრულეს, რადგან როდესაც კიკალიშვილის თხოვნით წყლის მიწოდება აღვადგინეთ, დგარიდან წყალმა ისევ ძლიერად გამოჟონა. ამის შემდეგ კომპანიის სადისპეტჩერო სამსახურმა ისევ გადაკეტა წყალი, ხელოსნებმა კი ისევ უხარისხოდ შეასრულეს სამუშაო და წყლის მიერთების ადგილიდან წყალმა უკვე მეორედ ძლიერად გამოჟონა“.

ვიდრე ბატონ თ. ჯანელიძის პასუხიდან კიდევ ერთ საგულისხმო ამონარიდს შეგთავაზებთ, ორი მცირედი კომენტარი მინდა გავაკეთო. **პირველი** ისაა, რომ თურმე მოქალაქეს აუცილებლად უნდა სცოდნოდა, რომ დგარის შეცვლასაც თუ აპირებდა, ამის თაობაზე კომპანიისთვის უნდა შეეტყობინებინა. მაგრამ ისმება კითხვა: **როგორ უნდა სცოდნოდა ეს, როცა განაცხადის ფორმა წყლის გადაკეტვის თაობაზე სტანდარტულია, განმცხადებელი მას GWP-ში იღებს და მასში შესასრულებელ სამუშაოთა დეტალიზაცია მოთხოვნილი არ არის? განა მარტო ეს გარემოება არ აცამტვერებს კომპანიის „დაცვის ბასტიონებს?“**

მეორე. ბატონი თ. ჯანელიძე ირწმუნება, რომ მოქალაქე კიკალიშვილის გამო წყალი ლამის ნახევარ საბურთალოზე (აბა, 20 ქუჩა და 32 ათასი მოსახლე სხვა რაა?) წყალი ოთხჯერ გადაიკეტა, თანაც 12 საათით. რბილად რომ ვთქვა, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რისი დამტკიცებაც ადვილად შეიძლება სატელეფონო მონიტორინგის ჩანაწერების მოსმენით, თუკი, ცხადია, ისინი უკვე განადგურებული არ არის. **თანაც რა საჭირო იყო ამოდენა ხალხის უწყლოდ დატანჯვა, როცა ერთი კორპუსისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტა თავისუფლად შეიძლებოდა ერთი ჭის ერთი ურდულის გადაკეტვით?**

მესამე ის არის, რომ კომპანიის „იაღლიშებს“ ბატონი თ. ჯანელიძე, სხვა კონტრარგუმენტთა გარდა, ქალბატონ კიკალიშვილის მიერ დაქირავებული ხელოსნების „არაკვალიფიციურობით“ ამაგრებს, რის სერიოზული კომენტარი არც ღირს, თუმცა კითხვას კი მაინც დავსვამ: **ეგ საიდანღა იცით, პატივცემულო, როცა საკუთარი კომპანიის ჭების განლაგებაც კი თქვენივე დისპეტჩერებისთვის ტურანდოტის გამოცანასავითაა?**

მერედა, იქნებ ისიც აგვიხსნას ბატონმა ოპერაციების მართვის დირექტორის მოადგილემ, **რას ნიშნავს ტერმინი „ძლიერად გამოჟონა“? იქნებ იმ წარღვნას, რომელიც ბუდაპეშტის №6-ში 19 ოქტომბერს GWP-ს მუშაკთა დაუდევრობით მოხდა?**

რაც შეეხება მესამე ამონარიდს, მასში, კერძოდ, ნათქამია: **„სამწუხაროდ, თბილისში ხშირია მსგავსი შემთხვევები, როდესაც კორპუსებისა და კერძო სახლების** (კიდევ რა ტიპის საცხოვრისები იციან დედაქალაქში, ნეტავ, GWP-ს ტოპ-მენეჯერებმა? — **ო. ტ.**) **მცხოვრებლები ვერ ახერხებენ წყლის ლოკალურად გადაკეტვას... რადგან წყლის ჩამკეტ-მიმღები ურდულები დაზიანებულია და შეცვლას საჭიროებს... რაზეც მეპატრონეებმა და ამხანაგობებმა უნდა იზრუნონ“.**

კი ბატონო, ასეა, მაგრამ ამის სათანადოდ და დროულად შეტყობინებაც ხომ აუცილებელია?

GWP-ს მენეჯმენტის პასუხი, ცხადია, ქალბატონ ლეილა კიკალიშვილს გავაცანი, თუმცა კი, სიმართლე გითხრათ, ერთი ვაება გამოვიარე: ამ ლამის რვა ათეული წლის სიგრძის ცხოვრების გზაგამოვლილ ქალბატონს სამეზობლო მხარში კი უდგას და არავინ „აწვება“, მაგრამ **თავად უაღრესად განიცდის მომხდარს, რომელიც, პირადად ჩემი ღრმა რწმენით, მისი ბრალი ნამდვილად არ არის. GWP-ც, ბუნებრივია, თავისი „მუნდირის ღირსებას“ იცავს, თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მომხდარში მის თანამშრომელთა დაუდევრობითა და უგულისყურობით მოხდა.** თანაც მომხდარის შემდეგ ბუდაპეშტის №6-ში კომპანიის არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა (მათ შორის არც სპეციალური ქვედანაყოფის მუშაკები, რომლის ხელმძღვანელს, ბატონ გოგი ნადირაშვილს რედაქციაში მოქალაქე ლეილა კიკალიშვილის განცხადების მიღებისთანავე დავუკავშირდით, და რომელიც შეგვპირდა, რომ მომავალ კვირას ისინი ადგილზე მისვლით დაწვრილებით გაეცნობოდნენ შექმნილ ვითარებას, მაგრამ... თქვენ ნახეთ, პატივცემულო მკითხველო, თქვენს ბინაში ბატონი გოგი და მისი თანამშრომლები? ისინი არც ქალბატონ ლეილას უნახავს... რბილად რომ ვთქვათ, ეს ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა და უპატივცემლობაა!)...

იქნებ ამ წერილმა მაინც შეასრულოს დიალოგის კატალიზატორის როლი, ყველაფერი დანარჩენი კი ერთ „კრაზანა ჟურნალისტს“ „დაბრალდეს“, და ამ უკანასკნელს კიდევ ერთხელ არ მიეცეს თავისი „საბრძოლო იარაღის“ — კალმის მომარჯვების საფუძველი...

და, რაც მთავარია, საქმე სასამართლომდე არ მივიდეს, რასაც თავისი პრობლემისადმი სრული უყურადღებობის კვლავ გამოჩენის შემთხვევაში განმცხადებელი აპირებს!

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

როცა ურემი გადაბრუნდა

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ განცხადებით დღეიდან, უპასუხოდ აღარ დარჩება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცხელ ხაზზე დაფიქსირებული არც ერთი გამოტოვებული ზარი, რომელზეც პასუხის გაცემა მოლოდინის რეჟიმის გახანგრძლივების ან რაიმე სხვა ტექნიკური მიზეზის გამო აქამდე ვერ ხერხდებოდა.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცნობით, ახალმა მენეჯმენტმა, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ახალი პროექტი აამოქმედა, რომლის მიზანია, მომხმარებლის არც ერთი გამოტოვებული ზარი არ დატოვოს უპასუხოდ. კომპანია თავად დაამყარებს უკუკავშირს იმ აბონენტებთან, რომლებმიც ცხელ ხაზს დაუკავშირდებიან და სხვადასხვა მიზეზით, პრობლემის დაფიქსირებას ვერ შეძლებენ. პროექტის განსახორციელებლად, სპეციალურად, ახალი ტექნიკური მოდული შეიქმნა.

პროექტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტისა და ცხელი ხაზის ოპერატორის კავშირი ვერ შედგება, ტელეფონის ნომერი საინფორმაციო ბაზაში დაფიქსირდება, როგორც გამოტოვებული ზარი, რის შემდეგაც ცხელი ხაზის ოპერატორები აბონენტებს თავად დაუკავშირდებიან. მომხმარებელთან უკუკავშირის შედეგად მიღებული ნებისმიერი შეკითხვა ან პრობლემა საერთო მონაცემთა ბაზაში დაფიქსირდება და კომპანიის შესაბამის სამსახურებს შესასრულებლად ავტომატურად გადაეცემა.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №248

ემიგრანტული სევდა

როგორი იქნება მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ბოლო ეტაპი? კომუნიზმი?! რატომაც არა!? თეორიულად ხომ მისი მოძღვრების დოგმატები ქრისტიანული მცნებების თანხვედრია – „არ იმრუშო“, „არა კაც კლა“, „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და სხვანი... ან, თუნდაც, დევიზი – „ყველასაგან მისი შესაძლებლობის, ყველას – მისი მოთხოვნილების მიხედვით!“ – განა თანამედროვე დემოკრატიის ერთ-ერთი პოსტულატი ასეთი არ არის? სიყმაწვილეში მეც უტოპიად მეჩვენებოდა, მაგალითად, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებულობის გაქრობის შესაძლებლობა, მაგრამ თანამედროვეობის მოწინავე ქვეყნებში ეს ხომ უკვე განხორციელდა! რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამერიკულ რანჩოში ცხოვრობ, თუ ფინეთის რომელიმე დაბაში, თუკი შეგიძლია ვერონაში მიმდინარე კონცერტის თვითმხილველი გახდე, ან სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ ფეხბურთის ჩემპიონატს ადევნო თვალი?

და, მაინც – მიღწევადია კი კომუნიზმის ოცნება? მე მგონი – არა! და აი, რატომ .....

ადამიანის სულიერი სამყარო არის კვინტესენცია გრძნობის და გონების, მიზანტროპიისა და ფილანტროპიის, კეთილისა და ბოროტის, სიყვარულისა და სიძულვილის, და, ისევე, როგორც ცხოველთა სამყაროში, მის პოპულაციაშიც ადგილი აქვს „ბრძოლას არსებობისათვის“ და „ძლიერის ფენომენს“ – ვითარცა ნიშანსვეტს ჯიშის, სახის, სახეობის გადარჩენისას: ადამიანშიც არ გაქრება, ალბათ, არასოდეს ბოროტი საწყისი, რადგან დაპირისპირება ამ „ორბუნებოვნობაში“ არის უშრეტი „მჭარმოებელი ძალა“ იმისა, რომ მუდმივი ხასიათი ჰქონდეს სრულყოფილების პროცესს. რამდენად წარმატებული იყო იგი დღემდე? გონებრივი განვითარების თვალსაზრისით, კაცობრიობამ კოლოსალური წინსვლა განიცადა და ეს პროცესი ლამის გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება მაშინ, როდესაც ადამიანის მორალურ სამყაროში პრინციპული ძვრა უკეთესობისაკენ, სამწუხაროდ, არ აღინიშნება. ამ თვალთახედვით იგი, ზნეობრივი სრულყოფილების საწყის ეტაპს თითქმის არ გასცილებია. ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ ვერ გამოდგება, სამწუხაროდ, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის ტიტანური მცდელობის შედეგად მიღწეულმა წარმატებებმა (დემოკრატიზმის ნორმების დამკვიდრება, თავისუფალი საზოგადოებების ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებების დაცვის უზენაესობა და სხვა) **ჯერჯერობით სასიკეთოდ მაინც ვერ შეცვალა დისბალანსი ამ ორ საწყისს შორის: ძმა ისევ კლავს ძმას, ხალხი ისევ მტრობს ხალხს და ა.შ. ნუთუ ასეთი რამ სამარადჟამოდ კოდირებულია ადამიანის გენში?**

მცდელობა სრულყოფილობისა – ეს არის სწრაფვა იდეალისაკენ, რომელიც ჰორიზონტივითაა – ისიც ხომ აგერ არის, თითქოს ხელშესახებ მანძილზე, მიდიხარ, მიილტვი მისკენ და იგი მაინც მიუწვდომელია! ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ორბუნებოვნების საწყისთაგან ერთ-ერთი რომ გაჰქრეს, ადამიანი – როგორც დედამიწის ცოცხალი სამყაროს ფენომენი – აღარ იარსებებს და იგი გადაიქცევა ოდენ უსულო რობოტების პლანეტად! ვიყოთ ოპტიმისტები და იმედი ვიქონიოთ, რომ არსთა გამრიგეს მიზნებში არ შედის ასეთი რამ და რომ მას განზრახული აქვს დარჩეს ადამიანი ცოცხალი ბუნების სახედ.

...და მაინც, რეალური შედეგი ამ ილუზორული მიზნისაკენ სწრაფვისა სახეზეა – ეს არის გლობალიზაციის უკვე ხელშესახები მასშტაბები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, სხვადასხვა სახის უმცირესობებისა და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობის საყოველთაოდ აღიარებაზე დისკუსიები...

განა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდელმა – სპარსულმა, ინდურმა და სხვა – იმპერიებმა, ალექსანდრე მაკედონელისა და, შემდგომ, რომის თვალუწვდენელმა სამფლობელოებმა, შუააზიური სტეპების თუნდაც ორჯერ – ჩინგის-ხანისა და თემურ-ლენგის – ზეობისას „გამოღვიძებამ“, უცხო ხალხთა მიერ ჩრდილოეთ ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებისა და ახალი ზელანდიის დაპყრობამ, ოსმანთა და რუსთა იმპერიების მრავალწლიანმა არსებობამ, და ა.შ. და ა ა.შ. არ „გადახატეს“ მსოფლიოს ხალხთა პირვანდელი საცხოვრისის სურათი და არ შეიტანეს მნიშვნელოვანი „კორექტივები“ მასში? ხოლო დემოგრაფიული „მოზაიკის“ ნიველირება განა გლობალიზაციის აშკარად გამოხატული ნიშანი არ არის? შესაბამისად, **– კომუნისტების უტოპიური ოცნება მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისა უკვე იყო გლობალიზაციის ნიშნების მატარებელი და ე. წ. „საბჭოთა ხალხის“ შექმნის პარანოიდული მცდელობაც ამის დასტურია.**

სანდრო ბაგრატიონის (შუაში) ოჯახი: მეუღლე ბარბალე, დედა – სალომე ბეგთაბეგიშვილი, შვილები ნიკუშა და მარიამი.

შეიძლება არადამაჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ **მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ხელშემწყობი ამ პროცესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი არის .... ემიგრაციაც**, რომელმაც ამჟამად მსოფლიოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის კი, როგორიც ჩვენა ვართ, მსგავსი რამ განსაკუთრებით შემაშფოთებელია – ძნელია მოიძებნოს ქართული ოჯახი, რომლის ახლობლობაში ამ პროცესს მტკივნეული იარა არ დაეტოვებინოს.

* * *

ერთ-ერთი მათგანი ჩემი სანათესაოც არის:

დედაჩემის პაპას **– ნიკო ბაგრატიონს**, ბაგრატოვანთა ქართლის – დავითიშვილების (რუსული ტრანსკრიპციით – ბაგრატიონ-დავიდოვების) – შტოს წარმომადგენელს და მის მეუღლეს – სალომე ბეგთაბეგიშვილს ოთხი შვილი ჰყავდათ – ოთხივე ვაჟი: **ალექსანდრე (სანდრო)**, **კონსტანტინე (კოტე)**, **არჩილი**, **გიორგი (გოგინა)!** ამდენად, გვარის გამგრძელებლის პრობლემა ოჯახში არ უნდა დამდგარიყო, თუმცა განგებამ, სამწუხაროდ, სხვაგვარად განსაჯა.

უფროს ვაჟს, პოლკოვნიკ სანდრო ბაგრატიონს – სამხედრო განათლება საზღვარგარეთ – ბალტიისპირეთის ერთ-ერთი ქვეყნის სასწავლებელში ჰქონდა მიღებული და მისი სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი. ის ფაქტი კი, რომ, განსხვავებით დანარჩენი სამი ძმისაგან, მან ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა, გვაფიქრებინებს, რომ იგი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებაში რაღაც ისეთ საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწეოდა, რომ აქ აღარ დაედგომებოდა და ეს, ჩემი ვარაუდით, სახელმწიფო უშიშროებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ასეთ მოსაზრებას უფრო მეტ დამაჯერებლობას მატებს ის ფაქტი, რომ, რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებულ უამრავ მოგონებებში სანდრო არსად არ არის ნახსენები – სამხედრო ოპერაციებში იგი, როგორც ჩანს, უშუალო მონაწილეობას არ იღებდა. ასეთი ვარაუდის სისწორე გასაგებს გახდიდა არა მარტო მის მიერ სამშობლოს დატოვების აუცილებლობას, არამედ იმასაც, თუ რატომ არ ფიგურირებს მისი გვარი თანამედროვეთა მოგონებებში.

ჩემი ეს მოსაზრება სულ ახლახან დადასტურდა – ჟურნალ „საარქივო მოამბის“ 2013 წლის მე-14 ნომერში (ლია კერესელიძე – „კიდევ ერთხელ ოკუპაციასა და არმიაზე“, გვ. 102-104) ვკითხულობთ, რომ: წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიისადმი გაწეული წინააღმდეგობის საპასუხო რეპრესიის **„ძირითადი დარტყმა გენოფონდმა – ახალგაზრდა თავადაზნაურობამ მიიღო (მოსდევს დახვრეტილთა ჩამონათვალი – ი. მ.)**. მათ შორის იყო პეტრე მიხეილის ძე ფავლენოვი, იგივე ფავლენიშვილი, 42 წლის, წარმოშობით თავადი გორის მაზრიდან, სპეციალობით იურისტი (მიღებული ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის სამი კურსის განათლება)“. „შემდეგ გადმოიყვანეს ვლადიკავკაზში კონტრდაზვერვის განხრით“. „ფავლენოვი, როგორც ოფიცერი და გამოცდილი სპეციალისტი, ბაგრატიონ-დავიდოვმა მიიწვია კონტრდაზვერვის საგამოძიებო ნაწილის უფროსად. ამ დროიდან მოყოლებული, ფავლენიშვილი წარმატებით ახორციელებდა მასზე დაკისრებულ ყველა დავალებას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი დავალება იყო ვლადიკავკაზში სამხედრო მისიით წასული და დაკარგული, ბაგრატიონ-დავიდოვის მზვერავის, წარმოშობით ლიტველი (!) მალლერ გუგოს კვალის მოძიება (შსს არქივი., II განყ., ფ. № 6, ს.ს. № 21-07, მალლერ გუგო).

მიუხედავად იმისა, რომ ფავლენიშვილს ჰქონდა მცირედი უსიამოვნებები სადაზვერვო უწყების უფროს ჩეჩელაშვილთან და გვარდიის მეთაურ ბაქრაძესთან, ის მაინც ბაგრატიონ-დავიდოვის რჩეული იყო“.

* * *

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ პაპა სანდროს ოჯახის არც ერთი წევრის მხრიდან არ ყოფილა არანაირი მცდელობა ნათესავებთან კონტაქტზე გამოსვლისა (თუ არ ჩავთვლით ერთი პატარა სურათის მოწოდებას, რაზედაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ). მათი ასეთი პოზიცია არ შეცვლილა სტალინის სიკვდილის შემდეგაც კი, როდესაც არც თუ იშვიათი გახდა „რკინის ფარდის“ სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილი ნათესავების ერთმანეთთან დაკავშირების მაგალითები, მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში სანდრო და მისი მეუღლე, ქალიშვილთან ერთად, როგორც ჩანს, უკვე ინგლისში ცხოვრობდნენ (ყოველ შემთხვევაში, სამივე დაკრძალულია ლონდონის ბრომპტონის სასაფლაოზე). სანდრო გარდაცვლილა 1955 წელს (78 წლის ასაკში).

მოყვანილი ინფორმაცია, ვფიქრობ, საკმარისი დამაჯერებლობით ადასტურებს სანდროს ემიგრაციის მიზეზის ჩვენეულ ვარაუდს – ეს დამოუკიდებელ საქართველოში მის სპეციფიკურ სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

სანდრომ სამშობლო მეუღლესთან – **ბარბალესა** და შვილებთან – **მარიამსა** და **ნიკოლოზთან (ნიკუშასთან)** ერთად დატოვა და მისი ოჯახის წევრთა შემდგომი ბედის შესახებ, დაუდასტურებელი ინფორმაციის სახით ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ:

– ნიკუშას უმსახურია პოლონეთის არმიაში, ცოლად ჰყოლია პოლონელი ქალი და დაღუპულა გერმანელების მიერ პოლონეთის ანექსიისას. ნიკუშას დაბადების წელი ჩვენ ასე ვივარაუდეთ: „დიდი“ ნიკო ბაგრატიონის 10 შვილიშვილიდან ვაჟი იყო მხოლოდ ორი. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ მაგუას სახელს – ნიკოლოზს, ქართული ტრადიციის თანახმად, დაარქმევდნენ შვილიშვილთაგან პირველ ვაჟს და რადგან მეორე – დედაჩემის ძმა **ჯანო ბაგრატიონი** – დაბადებული იყო 1910 წელს, ნიკუშა კი – არა უადრეს 1900 და არა უგვიანეს 1910 წლისა;

* * *

– **მარიამი**, **თითქოს, გათხოვდა ქართველზე და მშობლებმა ცხოვრების ბოლო წლები მასთან ერთად გაატარეს.** 40-ანი წლების ბოლოს (ზუსტად აღარ მახსოვს) ჩვენებს მოუტანეს პატარა ზომის სურათი, რომელზედაც ხანშიშესული წყვილი და საშუალო ასაკის ქალბატონი იყვნენ აღბეჭდილნი და გვითხრეს, თითქოს ესენი იყვნენ სანდრო, მისი მეუღლე და მათი ქალიშვილი და რომ სურათი გადაღებულია მიუნხენში. საზღვარგარეთიდან მსგავსი ინფორმაციის მიღების ფაქტის გახმაურება იმ დროს ოჯახისათვის წარმოუდგენელი უბედურების მომტანი შეიძლებოდა გამხდარიყო (მითუმეტეს, რომ დედა მსჯავრდებული იყო როგორც – „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი“ და ახალი დაბრუნებული იყო 8-წლიანი გადასახლებიდან!). უფროსებმა, შესაბამისად, ის პატარა სურათი ისე საგულდაგულოდ გადამალეს, რომ, როდესაც შესაძლო გახდა ამაზე ღიად ლაპარაკი, სურათი ვერსად ვიპოვნეთ! (იმ დროს ერთ ოთახში ვცხოვრობდით მთელი ოჯახი და ყველაზე საიმედო ადგილად, როგორც ჩანს, წიგნი მიიჩნიეს, ისინი კი უამრავი გვქონდა შემორჩენილი!)

არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩვენი ოჯახი ძალიან იყო დაინტერესებული იმით, რომ მოგვეპოვებინა რაიმე ცნობა სანდროს ოჯახზე, მაგრამ ამის რეალური შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის პირობებში არ არსებობდა. 90-იანი წლების ბოლოს შემთხვევით გავიგე, რომ ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობს ქართველი მეცნიერი, პროფესორი **დავით ყოლბაია**, რომელიც უყოყმანოდ გამოეხმაურა ჩემს თხოვნას დახმარების შესახებ, რისთვისაც მას გულწრფელი მადლობა მინდა მოვახსენო. მისი შემწეობით ხელთ აღმოგვაჩნდა ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია 1938 წელს საავადმყოფოში და რომელზედაც თავად ალექსანდრესა და მის მეუღლესთან ერთად აღბეჭდილია ქართველი ოფიცრის – გიორგი (ჟორა) მამალაძის მეუღლე – სოფიო (გიორგი მამალაძე შემდგომ კატინში დახვრიტეს, სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად). როგორც ბ-ნი დავით ყოლბაია იტყობინება, კატინში ქართველების დახვრეტის შესახებ ცნობები მოიპოვება ალექსანდრე ზაქარიაძის მოგონებებში, ხოლო თავად ბ-ნ დავითს ქართველ ოფიცრებზე ჟურნალ „პრო გეორგიაში“ (ProGeorgia, №16) 2008 წელს პოლონურ ენაზე გამოუქვეყნებია 350-გვერდიანი ნაშრომი, გიორგი მამალაძის უნიკალური ალბომითურთ. სწორედ მასრატიონის 10 შვილიშვილიდან ვაჟი იყო მხოლოდ ორი. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ მაგუას სახელს – ნიკოლოზს, ქართული ტრადიციის თანახმად, დაარქმევდნენ შვილიშვილთაგან პირველ ვაჟს და რადგან მეორე – დედაჩემის ძმა **ჯანო ბაგრატიონი** – დაბადებული იყო 1910 წელს, ნიკუშა კი – არა უადრეს 1900 და არა უგვიანეს 1910 წლისა;

ში ყოფილა სურათი **სანდროს ვაჟის – ნიკოლოზისა**, რომლის შესახებაც მ-ნმა დავითმა ასეთი ცნობები მოიპოვა: **იგი 1933-40 წლებში ყოფილა „პოლონეთის ქართული კომიტეტის“ მდივანი, „დასაფლავებულია ვარშავაში, საფლავზე აწერია: „Nikolaj Bagrationi. გარდაიცვალა 1940 წლის 10 მარტს, 32 წლის ასაკში“. იქვე დასაფლავებულია „Witold Krezeminski, გარდაცვლილი 22.IV.1938, 59 წლის ასაკში“**. მ-ნი დავითისათვის ცნობილი ყოფილა ის ფაქტი, რომ ნიკოლოზი გესტაპოს ჰყავდა დაკავებული ვარშავაში და რომ იგი „მეგობრობდა წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძესთან“ და ორივე მათგანის დაკავების მიზეზი იყო ის, რომ ისინი „პროპოლონურად განწყობილი ჯგუფის წევრები“ იყვნენო.

მე სურათის ნახვისთანავე ვიწამე, რომ მასზე პაპაჩემის ძმა – სანდრო იყო აღბეჭდილი, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის გავაკეთეთ მონტაჟი, ანუ – მოვახდინეთ ძმების ვირტუალური შეხვედრა 80 წლის შემდეგ! სიბერეში ისინი ძალიან დაემსგავსნენ ერთმანეთს და ეს სურათზეც კარგად ჩანს (გენეტიკა!). ამასთანავე, ისიც გავითვალისწინეთ, რომ:

– მ-ნ დავით ყოლბაიას მიერ მოწოდებულ სურათზე გამოსახული პიროვნება დაახლოვებით 60 წლისა უნდა იყოს, 1938 წელს სანდროც სწორედ 61 წლისა იქნებოდა;

– რადგან დადასტურებულია, რომ ნიკუშა 30-იან წლებში პოლონეთში (ვარშავაში) ცხოვრობდა, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მისი მშობლებიც იქ ცხოვრობდნენ (სანდროს სურათი პოლონურ საავადმყოფოშია გადაღებული);

– ის, რომ სანდროს გვერდით საავადმყოფოში ქართველი ოფიცრის მეუღლეა გადაღებული, ქართველთა ოჯახებს შორის სხვა წყაროებიდანაც ცნობილ მეგობრულ კავშირებს კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ახლა ნიკუშა ბაგრატიონის შესახებ:

– მისი დაბადების წელი – 1908 – სავსებით ემთხვევა ჩვენს ვარაუდს, ხოლო გარდაცვალებისა კი – ჩვენთვის ადრე მოწოდებულ ინფორმაციას;

– ძალიან საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ იგი განისვენებს გვერდიგვერდ პოლონელ პიროვნებასთან, რაც რიგითი შემთხვევა არ უნდა იყოს, თუნდაც ჩვენი ქართული მენტალობის გათვალისწინებით. რასაკვირველია, შეიძლება შემთხვევითობასაც კი ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ამ ფაქტს სხვა ახსნაც შეიძლება მოეძებნოს, რომლისკენაც გვიბიძგებს ჩემი ასეთი მოსაზრება, რომელიც, ვფიქრობ, ლოგიკას არ უნდა ყოფილიყო მოკლებული:

– როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენამდე მოღწეული ხმების თანახმად, ნიკუშას ჰყავდა პოლონელი მეუღლე (იქ ჩასულ ქართველთა უმეტესობის მსგავსად!);

– ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ბოლომდე არ დარჩენილიყო მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგული (შერეული ქორწინებებისას ქართველი მამაკაცის მიერ მეუღლის სარწმუნოებაზე გადასვლის მაგალითები რაღაც არ მაგონდება). ამდენად, მართლმადიდებლის დაკრძალვა კათოლიკურ სასაფლაოზე რაიმე არაორდინარული მიზეზით უნდა ყოფილიყო განპირობებული და, იმის გათვალისწინებით, თუ რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ვარშავაში 1940 წელს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ადამიანის დაკრძალვაც გარკვეულ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული;

– ჩვენი თხოვნით საგანგებოდ იქნა შემოწმებული ვარშავის მართლმადიდებელთა სასაფლაოები და იქ დაკრძალულთა სიებში ბაგრატიონები არ მოიხსენიებიან.

აღწერილმა კოლიზიამ გვიბიძგა ასეთი მოსაზრებისაკენ – ხომ არ იყო ბატონი კრუემინსკი ნიკუშას სიმამრი? სხვაგვარად ძნელი შესათავსებელია ჩამოთვლილი ფაქტორები. ასეთი ვარაუდის საფუძველს მათი ასაკობრივი ანალიზიც იძლევა – როგორც საფლავების ქვების წარწერებიდან ირკვევა, 1938 წელს, როდესაც მ-ნი კრუემინსკი გარდაიცვალა, ის 59 წლისა ყოფილა, ნიკუშა კი იმ დროს 30-ის იქნებოდა. ეს ვარაუდი შემდგომში, ჩვენი პოლონელი გულშემატკივრების, უპირველესად კი მ-ნი ეუი ოსტაპჩუკის (უღრმესი მადლობა მას!), მეცადინეობით სავსებით დადასტურდა – ნიკუშას ცხოვრების სხვადასხვა დეტალებთან ერთად მან მისი პოლონელი მეუღლისა და მისი სანათესაოს შესახებაც მოგვაწოდა ინფორმაცია!

რაც შეეხება პაპა სანდროს ოჯახის სხვა წევრებს, მათ შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა 1969 წელს (84 წლის ასაკში), ხოლო მათი ქალიშვილი – მარიამი – 1973 წელს (57 წლის ასაკში).

... აქ დარჩენილ სამ ძმათაგან არჩილსა და გოგინას ორ-ორი ქალიშვილი დარჩათ, არჩილს – ელენე (გუგული) და ეთერი, გოგინას „თინათინი და ქეთევანი. ორივე ძმის ცხოვრებამ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა, სანდროს მომდევნო ძმას – კოტეს კი, რომელსაც 4 შვილი ჰყავდა: დედაჩემი – თამარი, ჯანო („დიდი“ ჯანო ბაგრატიონი), მანანა და ნატო, ბევრი სიმწარე არგუნა ცხოვრებამ: ადრე გარდაეცვალა მეუღლე – ოლღა ამირეჯიბი, უმშვენიერესი ხმის პატრონი (სხვათა შორის, იგი იყო პირველი ქართველი ქალი, ვისი შესრულებითაც ქართული სიმღერა ჩაწერილ იქნა გრამოფონის ფირფიტაზე კომპანია „ექსტრაფონის“ მიერ!); 1937 წელს დაუხვრიტეს სიძე – მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ნიკოლო მიწიშვილი; იმავე წელს დააპატიმრეს დედაჩემი; ომის პირველ წლებშივე დაეღუპა სიძეები – გიორგი (მსახიობის, რეჟისორისა და პედაგოგის – გურამ ჩერქეზიშვილის – მამა) და კოტე (ცნობილი მომღერლისა და კინომსახიობის – ბუბა კიკაბიძის – მამა).

* * *

ისე მოხდა, რომ აქ დარჩენილი სამი ძმის მონაგარიდან „დიდი“ ნიკო ბაგრატიონის (ის, მართლაც, დიდი – ახოვანი ტანისა ყოფილა!) გვარის გამგრძელებელი ბედმა არ გვაჩუქა და ამითაც იყო გამოწვეული ჩვენი დიდი ინტერესი უფროსი ძმის – სანდროს – შთამომავლობისადმი – სამწუხაროდ, ნიკუშას შვილები არ დარჩენია! ჩვენთვის ამის გაგება, პრინციპში, მოულოდნელი არც იყო – ვინმე რომ დარჩენილიყო, მასში ქართული გენი ისულდგმულებდა და ჩვენსკენ გზას აუცილებლად გამოიკვალავდა, გენი, რომლის გამოც ქართველების ცხოვრებაში სხვებისათვის გაუგებარი და აუხსნელი ბევრი რამ ხდება – სასიხარულოცა და სევდიანიც, მაგალითად, ასეთი:

პაპაჩემი კოტე რომ გარდაიცვალა, იმ დღეებში მისი უმცროსი ძმა – გოგინა – გულის შეტევით საავადმყოფოში იწვა და ძმის ამბავს, ბუნებრივია, ყველა უმალავდა. შემთხვევით წასწყდომია გაზეთში სამგლოვიარო განცხადებას და, მიუხედავად ახლობლების ხვეწნისა, გამოსვენებაზე მაინც მოვიდა ძმასთან გამოსამშვიდობებლად. იქვე ცუდად გახდა და მეზობლის აივანზე აიყვანეს მოსაბრუნებლად. ის-ის იყო სამგლოვიარო პროცესიის ბოლო მონაწილენი სტოვებდნენ ეზოს, რომ პაპა გოგინამაც მშვიდად დალია სული – არ უღალატა, თითქოს, ძმას და არ მიატოვა იგი სამუდამო განსასვენებლის გზაზე!

..... ამ ამბავზე მაშინ მთელი თბილისი ლაპარაკობდა.

ე მ ი გ რ ა ც ი ა .....

ქართველთათვის იგი, განსაკუთრებით – მისი დღევანდელი მასშტაბისა და დემოგრაფიული რეალობის გათვალისწინებით – ერის გადაშენების საფრთხის აშკარად გამოხატული სიგნალია!

SOS!

ილამაზ მიწიშვილი

„შექსპირს რომ და ჰყოლოდა“...

ვირჯინია ვულფის შემოქმედების საიდუმლო

ინტელექტუალი ადამიანების საყურადღებოდ: 8 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერში, პროგრამაში „ღია აუდიტორია“ ნახავთ საინტერესო ლექციას მწერალ ვირჯინია ვულფის შემოქმედების საყურადღებო, ნიუანსურ დეტალებზე, რომელსაც წარმართავს დასავლეთ-ევროპული ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი მანანა გელაშვილი.

ლექციას სტუდენტებთან ერთად ესწრება ინგლისურენოვანი ლიტერატურის ჩინებული მთარგმნელი ლელა დუმბაძე, რომელმაც ვირჯინია ვულფის რომანის „გზა შუქურისაკენ“ თარგმანისთვის საბას პრემია დაიმსახურა.

გთავაზობთ ფრაგმენტს ლექციიდან...

„დაახლოებით 1910 წლის დეკემბერში ადამიანის ბუნება შეიცვალა“, – წერდა ვირჯინია ვულფი ესეში „მისტერ ბენეტი და მისის ბრაუნი“ – „ადამიანთა შორის ურთიერთობები შეიცვალა „ურთიერთობა ბატონსა და მსახურსა, ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის. ხოლო როცა ადამიანებს შორის ურთიერთობები იცვლება, ამავდროულად, ცვლილებებია რელიგიაში, ქცევაში, პოლიტიკასა და ლიტერატურაში“.

ადამიანის ბუნების ცვლილება, რაზეც ვულფი წერს, იმ დიდი კატაკლიზმების შედეგია, რომლითაც აღბეჭდილია მეოცე საუკუნის დასაწყისი და რომელსაც შედეგად კრიზისული მსოფლშეგნება მოჰყვა. ბუნებრივია, რომ ამგვარ ცვლილებას ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიება უნდა მოჰყოლოდა. მართლაც, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში მოდერნიზმმა რადიკალურად ახალი ესთეტიკა მოიტანა და მკვეთრად დაუპირისპირდა ტრადიციულ სალიტერატურო ნორმებს. ვირჯინია ვულფი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მთელი თავისი შემოქმედებით – რომანი იქნება ეს თუ ესეები – ცდილობს მოდერნიზმის პოეტიკის გააზრებასა და დამკვიდრებას ინგლისურ ლიტერატურაში.

ვულფი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც არა მხოლოდ პრაქტიკულად მიმართა ცნობიერების ნაკადის ტექნიკის მეთოდს თავის ნაწარმოებებში, არამედ ესეში „თანამედროვე პროზა“ მან ძალიან ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა, როგორ წარმოუდგენია ახალი რომანი, რომელიც ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი ფსიქოლოგიის გადმოცემას უნდა ანიჭებდეს პრიორიტეტს: „წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ჩვეულებრივი ადამიანის გონება ერთ ჩვეულებრივ დღეს. გონება მირიად შთაბეჭდილებას იღებს – ტრივიალურს, ფანტასტიკურს, წარმავალს ან ფოლადივით მტკიცედ აღბეჭდილს. ყოველი მხრიდან მოდიან ეს შთაბეჭდილებები, უთვალავ ატომთა უწყვეტი ნაკადი.“ ვულფის აზრით, რომანის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ აღნუსხოს ეს შთაბეჭდილებები, რომლებიც ადამიანის გონებას „აწვიმს“ რომელიმე ორშაბათს ან სამშაბათს.

ამ პასაჟში თუმცა, ვულფი თავად ტერმინს - ცნობიერების ნაკადი – არ ახსენებს, არსებითად რაზეც ის საუბრობს სწორედ ის ტექნიკაა, რომელსაც ჯოისი „ულისეში“, თვითონ ვულფი კი – რამდენიმე რომანში - „მისის დელოუეი“, „გზა შუქურისკენ“, „ტალღები“ – იყენებს.

რომანის „გზა შუქურისკენ“ მთავარი მოქმედი პირების მისტერ და მისის რემზების პროტოტიპებს ვირჯინია ვულფის მშობლები წარმოადგენენ. მამა – ლესლი სტივენი, ინტელექტუალი, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, კრიტიკოსი, ლიტერატორი, ოცზე მეტი წიგნის ავტორი და ერთვნული ბიოგრაფიის ლექსიკონის პირველი რედაქტორი იყო. რომანში მისტერ რემზი ფილოსოფოსია, რომელსაც ახალგაზრდობაში ბრწყინვალე ნაშრომი შეუქმნია. ვულფი ძალიან ღრმა და საინტერესო პორტრეტს ქმნის ინტელექტუალის, რომელსაც ადამიანური ურთიერთობები ძალიან ცუდად გამოსდის, რადგან ემოციური მხარე ნაკლებად აქვს განვითარებული. ეს პრობლემა, ინტელექტისა და ემოციის გათიშვის, დისბალანსის, საერთოდ დამახასიათებელია მოდერნისტი მწერლებისათვის. მაგ. ჯეიმზ ჯოისთანაც ვხვდებით ემოციის უნარს მოკლებულ ინტელექტუალებს მისტერ დაფის, გეგრიელ კონროის.

სრულიად განსხვავებულია მისის რემზი, რომლის პროტოტიპს ვირჯინია ვულფის დედა, სილამაზით განთქმული ჯულია სტივენსი წარმოადგენს, რომლის მშვენება რამდენიმე მხტვრისა და ფოტოგრაფის შთაგონების წყაროდ იქცა, მათ შორის პრე-რაფაელიტი მხატვრის ედვარდ ბერნ-ჯონსის. მისი სულიერი სიფაქიზე, ადამიანებზე ზრუნვა და ყოვლისმომცველი სიყვარული განუზომელია.

ამ რომანშიც, ისევე როგორც ვულფის სხვა ნაწარმოებებში, მკაფიოდ ჟღერს ადამიანების გაუცხოების, მარტოობის, კომუნიკაციის შეუძლებლობის თემა. ამიტომ არის ასეთი გამორჩეული მისის რემზი – იგი აერთიანებს, კრავს, იმედს ასხივებს, ისევე როგორც მისის დელოუეი, რომანიდან „მისის დელოუეი“, სადაც კლარისს წვეულება, რომლითაც მთავრდება ნაწარმოები, სწორედ ამგვარ მცდელობად უნდა აღვიქვათ, მცდელობად წამიერად მაინც მოისპოს გაუცხოება ადამიანებს შორის. რა თქმა უნდა, ვულფი შორსაა იმ აზრისაგან, რომ მარტოობის დაძლევა შესაძლებელია, ხვალინელი დღე, ალბათ, ისევ უღიმღამო იქნება, მაგრამ „აქ და ახლა“ ერთი წამით მაინც შესაძლებელია ცხოვრების მშვენიერებისა და სისავსის შეგრძნება, რასაც ვულფი „ყოფიერების მომენტებს“ უწოდებს.

რომანი „გზა შუქურისკენ“ სამი ნაწილისაგან შედგება. რომანის პირველ ნაწილს „ფანჯარა“ ეწოდება და მას ძალიან საინტერესო სიმბოლური დატვირთვა აქვს. ფანჯარა ზღურბლია, იგი ერთსა და იმავე დროს გამოყოფს და აკავშირებს შიდა და გარე სივრცეს (სხვათა შორის, ვულფს ესეც აქვს დაწერილი „კაცი ზღურბლთან“ ინგლისელი რომანტიკოსის სემუელ ტეილორ კოლრიჯის შესახებ, სადაც ზღურბლის სიმბოლიკაზე მსჯელობს.) ვულფის საოჯახო ალბომში ინახება ფოტო, რომელზეც ვულფის დედაა სარკმელთან აღბეჭდილი. თვითონ ვირჯინიასაც აქვს ფოტო გადაღებული იგივე პოზაში, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს ხატი მისთვის.

რომანში ფანჯარას ორმაგი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, იგი ის ადგილია, საიდანაც მისის რემზი და პატარა ჯეიმზი ზღვასა და შუქურას გასცქერიან და სადაც ჯეიმზი შუქურაზე წასვლაზე ოცნებობს, რომელიც მხოლოდ წიგნის ბოლოს განხორციელდება მისის რემზის გარდაცვალების შემდეგ. მეორე მხრივ, ფანჯარასა და მასთან მოკალათებულ მისის რემზისა და მის კალთაში მოკალათებულ ჯეიმზს ეზოდან უმზერს სხვა პერსონაჟი – მხატვარი ლილი ბრისკო, რომელიც მათ დახატვას ცდილობს.

„შექსპირს რომ და ჰყოლოდა?“ სვამს კითხვას ვირჯინია ვულფი ესეში „საკუთარი ოთახი“. და შემდეგ ტრაგიკულ სურათს ხატავს, თუ როგორ წარიმართებოდა მისი ბედი, თუკი იგი შექსპირივით ნიჭიერი იქნებოდა. შექსპირის ეპოქაში კი არა, აგერ მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა „გზა შუქურისკენ“ მოქმედება მიმდინარეობს, ლილი ბრისკოს არაერთხელ გააგონეს, რომ „ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებს ხატვა არ შეუძლიათ“.

რომანის მეორე ნაწილში, რომელსაც „დრო გადის“ ჰქვია, იცვლება თხრობის ტემპი და მანერა. თუ პირველი ნაწილში თხრობა ძირითადად შინაგან მონოლოგს წარმოადგენდა, ეს მონაკვეთი განყენებული, ობიექტური მთხრობელის მიერ არის გადმოცემული და რამდენიმე გვერდი ათ წელს მოიცავს, რომელიც რემზების მიტოვებულ სახლში დასადგურებულ ნგრევაზე მოგვითხრობს. ამავე მონაკვეთში გაკვრით, ფრჩხილებში ჩასმული, ნახსენებია, რომ მისის რემზი გარდაიცვალა. მახსოვს, პირველი წაკითხვისას გაოცება, აღშფოთება, გაოგნება: როგორ?! რას აკეთებს ვულფი?! ეს ხომ ბავშვმაც კი იცის, რომ მთავარი პერსონაჟი შეუძლებელია ნაწარმოების შუაში მოკვდეს?! თანაც ასე სხვათა შორის, ერთ წინადადებაში, რომელიც ამასთანავე ფრჩხილებშია მოთავსებული, რათა მის უმნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად გაესვას ხაზი...

მიუხედავად მარტოობისა, სიკვდილისა, გაუცხოებისა, კომუნიკაციის შეუძლებლობისა, რაზეც ამდენს წერენ მოდერნისტები, „ყოფიერების მომენტები“ მაინც არსებობს და ვულფის რომანებიც მის გამოცემას ცდილობენ.

მანანა გელაშვილი

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

შპს ვარდნილჰესების კასკადის განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის №9 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ოპელ ვექტრა	VNV- 724	1998	2800	300	50	20	გალი
2	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	4200	400	50	20	გალი
3	კაზ–4540	A 287 PO	1999	700	70	30	10	გალი
4	გაზ 24	A 637 AH	1982	400	50	20	10	გალი
5	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	1400	150	40	10	გალი
6	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	2500	250	50	20	გალი
7	კაზ 4360 სატვირთო	A 289 PO	1998	200	20	10	5	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. № GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 7 დეკემბრის 10 სთ-დან 2015 წლის 21 დეკემბრის 12 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 21 დეკემბერს 13 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

— რეალიზების შემთხვევაში დღგ-ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო ფასი დადგენილია ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის №5005303315 დასკვნით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493.

შპს ვარდნილჰესების კასკადის აუქციონის მომწყობი კომისია

შპს ენგურჰესის განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის №9 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მერსედეს ბენცი (ავტობუსი)	A964PO	1990	7700	700	70	20	საბერიო
2	ზილ-131 სახანძრო	უნომრო	1989	4800	450	50	20	ჯვარი
3	უაზი მ/ა	FAII-255	1999	2500	250	30	20	ჯვარი
4	ვაზ 21213 „ნივა“	GSG-790	1998	1500	150	25	10	ჯვარი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი“, სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშგების ანგარიში GE59PC0173600100015015, ს/კოდი 251716371.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 7 დეკემბრის 10 სთ-დან 2015 წლის 21 დეკემბრის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 21 დეკემბერს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

— რეალიზების შემთხვევაში დღგ-ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო ფასი დადგენილია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის № 5005303315 დასკვნით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 595 227050 , 0415 221688.

შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია

განცხადება

2016 წლის 27 იანვარს 12 საათზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხარაგაული, ცხრა აპრილის ქუჩა №15), ხოლო 16 საათზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2) გაიმართება „თბილისი-ბათუმი“-ს მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონი“-ს მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი, მოლითი-ხაშურის ახალი სარკინიგზო ხაზის, მილითი-ქვიშხეთის მონაკვეთის პროექტში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის, მოლითი-ხაშურის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ხარაგაული, ცხრა აპრილის ქუჩა №15;**
- **ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ხაშური,ტაბიძის ქუჩა №2;**
- **სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17°.**

ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **ნინო ჩობანიანი. ტელ: 591 199 149 ; E-mail: nino.chobaniani@railway.ge**
- **ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.**

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაცია

საქმე №1/174-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 25 ნოემბერი 2015 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ალიხან საფაროვი, გიორგი ჩაკვეტაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 19 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ალიხან საფაროვისა და გიორგი ჩაკვეტაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 9 ივნისს, შპს „ნოვა კრედიტსა” და ალიხან საფაროვს შორის დაიდო №061413226 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 4000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის ალიხან საფაროვის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: BMW M3; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2004; ტიპი: კუპე; ფერი: რუხი 1/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №WBSBR93434PK07375; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL2422607; სარეგისტრაციო ნომერი: IXI653.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ალიხან საფაროვს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ალიხან საფაროვს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ალიხან საფაროვი მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ალიხან საფაროვს (პირადი №01013005122) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ალიხან საფაროვს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ალიხან საფაროვს ეცნობოს, რომ 2015 წლის 25 დეკემბერს 10:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ალიხან საფაროვისა და გიორგი ჩაკვეტაძის მიმართ.

5. ალიხან საფაროვს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/129-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 2 დეკემბერი 2015 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: სალომე როდონაია, ცოტნე ჩიხლაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 31 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე სალომე როდონაიასა და ჩოტნე ჩიხლაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 26 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და სალომე როდონაიას შორის დაიდო №121414093 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: აუდი ოლროუდ; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2004; ტიპი: უნივერსალი; ფერი: რუხი 4/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №WA1YD54BX5N006358; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL3770667; სარეგისტრაციო ნომერი: FC101BM.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა-ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე- მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2014 წლის 26 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ცოტნე ჩიხლაძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ცოტნე ჩიხლაძეს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ცოტნე ჩიხლაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ცოტნე ჩიხლაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ცოტნე ჩიხლაძეს (პირადი №01024037992) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ცოტნე ჩიხლაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ცოტნე ჩიხლაძესა და სალომე როდონაიას (პირადი №01008025813) ეცნობოთ, რომ 2015 წლის 23 დეკემბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ”-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით სალომე როდონაიასა და ცოტნე ჩიხლაძის მიმართ.

5. ცოტნე ჩიხლაძესა და სალომე როდონაიას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარეები არ გამოცხადდებიან არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა

ბორის პაიჭაძე (მარჯვნივ)

მოგვაწოდა ომარ შუდრამ

◎ ჩოგბურთი

ATP-მ წლის საუკეთესო მატჩი დაასახელა

დიდი სლემის ტურნირებისა და დევისის თასის გათამაშების წლის საუკეთესო შეხვედრად ATP-მ რაფაელ ნადალის და ფაბიო ფონინის (6:3, 6:4, 4:6, 3:6, 4:6) US OPEN-ის მესამე რაუნდის მატჩი დაასახელა, რომელიც 3 საათსა და 46 წუთს გაგრძელდა.

სეზონის საუკეთესო თამაშზე ფონინი-ნადალის გარდა კიდევ ოთხი შეხვედრა იყო ნომინირებული:

სტანისლას ვავრინკა – ნოვაკ ჯოკოვიჩი 4:6, 6:4, 6:3, 6:4 (როლან გაროსის ფინალი),

როჯერ ფედერერი – ენდი მარეი 7:5, 7:5, 6:4 (უიმბლდონის ნახევარფინალი),

ლეონარდო მაიერი – ჟოაო სოუზა 7:6, 7:6, 5:7, 5:7, 15:13 (დევისის თასი),

რიშარ გასკე – სტანისლას ვავრინკა 6:4, 4:6, 3:6, 6:4, 11:9 (უიმბლდონის მეოთხედფინალი).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვითარება

„გენტის“ და „ზენიტის“ მატჩი ბელგიაში ჩაჭარდება

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მე-6 ტურის მატჩი „გენტსა“ და „ზენიტს“ შორის ნეიტრალურ მოედანზე არ გაიმართება. როგორც R-Sport-ი იუწყება, აღნიშნული გადაწყვეტილება უეფამ მიიღო.

რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბული ვითარების გამო გენტის მერმა დანიელ ტერმონმა განაცხადა, რომ რუს გულშემატკივრებს 9 დეკემბერს გასამართ შეხვედრაზე ვერ დაუშვებს. ბელგიაში 200 000 თურქი ცხოვრობს, აქედან კი ნახევარი გენტსა და ანტვერპენშია დაბინავებული.

„ზენიტის“ გენერალურმა დირექტორმა მაქსიმ მიტროფანოვმა უეფას შეხვედრის გამართვა ნეიტრალურ მოედანზე სთხოვა, თუმცა, უარი მიიღო.

„გენტის“ პრესსამსახურის უფროსის ვიმ დე ბუკის განცხადებით, კლუბმა უკვე დაადგინა, რომ სტადიონზე რუს გულშემატკივრებს შესვლა არ შეეძლებათ.

„რუსი მხარდამჭერები სტადიონზე ვერ შევლენ. ასეთია ქალაქის ხელმძღვანელობის ვერდიქტი. მერი უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლევა, რადგან სამართალდამცავთა ნაკლებობაა. რუს გულშემატკივრებს, რომლებმაც ბილეთები უკვე შეიძინეს, ფული უკან დაუბრუნდებათ.“ – ციტირებს R-Sport-ი დე ბუკის სიტყვებს.

საფრანგეთში განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგად „გენტის“ გულშემატკივრებს 24 ნოემბერს „ლიონთან“ თამაშზე დასწრების უფლება არ მისცეს.

ბადრი იაშვილი

◎ კალათბურთი

ნბა-ში სტეფ კარი და პოლ ჯორჯი აღიარეს

ნბა-ს ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ოქტომბრის და ნოემბრის თვეების საუკეთესო მოთამაშეებად დასავლეთ კონფერენციაში სტეფ კარი („გოლდენ სტეიტი“) და აღმოსავლეთში პოლ ჯორჯი („ინდიანა პეისერზი“) დასახელდნენ.

სტეფ კარიმ ოქტომბერ-ნოემბერში „გოლდენ სტეიტის“ სარეკორდო 19-დან ცხრამეტივე მატჩის მოგებაში ლომის წილი დაიდო. ის გუნდს საშუალოდ 31.6 ქულას სძენს. კარიმ 94 სამქულიანი ჩააგდო, რაც საოცარი შედეგია. პოლ ჯორჯი საშუალოდ ერთ მატჩში 27.2 ქულას, 8.1 მოხსნა, 4.4 ჩაჭრას და 1.56 პასს აკეთებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

გულდასაწყვეტი გაყრა

აფსუს, ამ რამდენიმე თვის წინათ როგორი გულდაჯერებით გიამბობდით ინგლისში მობურთალი ფრანგი ფეხბურთელის სამირ ნასრისა და მისი გულისსწორის, მომღერლისა და მოდელის ანარა ატენესის სიყვარულისა და ხვანცალის ამბებს. აფსუს, როგორ ნამეტნავად უყვარდათ ერთურთი...

ცხოვრება მუხთალი რამაა, თორემ აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ სამირი ამ კეკლუც ანარას ჯერ ცოლად მოიყვანდა და ყველას სახალხოდ განუცხადებდა, რომ ამას იქით სხვა ქალისკენ გამხედავი მე აღარა ვარო და მერე ამავე ქალს ისე გაშორდებოდა, ერთხელ არ მოიხედავდა უკან...

ერთადერთი, რაც ევროპულმა ბულვარულმა გამოცემებმა ვერ დადგინეს, ისაა, თუ რა იყო სამირისა და ანარას განშორების მიზეზი. ზოგი წერს, ანარამ გაიჩინა საყვარელი და ამან ნასრი აღაშფოთაო, სხვები კი იძახიან, სამირს აუავხორცდა სულ-გვამი და მან გადადგა ღალატისკენ ნაბიჯიო. ასეა თუ ისე, გაყრა უკვე შედგა და რა გინდა, რომ ქნა?!...

რუსტომ რაჭველიშვილი

◎ კორუფციის ჭაობში

ფიფას მაღალჩინოსანთა აღიარებითი ჩვენებები და მარკო პოლოს უვადო შვებულება

შვეიცარიული პოლიციის მიერ ციურიხის სასტუმრო Baur au Lac-ში 3 დეკემბერს გამთენიისას განხორციელებული ოპერაციის შედეგად დაკავებული ფიფას 16 მაღალჩინოსნიდან უმრავლესობამ ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა აღიარა და მითვისებული თანხების დაბრუნების პირობაც დადო.

როგორც ცნობილია, დაკავებულთა შორის არიან კონკაკაფისა და კონმებოლის ფედერაციების ხელმძღვანელებიც, ახლახან კი გაირკვა, რომ ამერიკული სამსახურების მიერ წარმოებული გამოძიების ყურადღებას ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი მარკო პოლო დელ ნეროც იმსახურებს. მართალია, დელ ნერო ჯერ დაკავებული არაა, თუმცა, Reuters-ის ინფორმაციით, მან უვადო შვებულება აიღო, რათა ბრალდებისგან თავის დაცვაზე იყოს სრულად კონცენტრირებული.

ფიფაში მყარად ფესვგადგმული კორუფციული საქმეების გამოძიებას უკვე რამდენიმე თვეა ამერიკელი სამართალდამცავები აწარმოებენ და ამ ორგანიზაციის არაერთი მოქმედი თუ ყოფილი ჩინოვნიკი დააკავეს. პარალელურად, ფინანსურ გარიგებებს იძიებს ფიფას ეთიკის კომიტეტიც, რომლის გადაწყვეტილებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმიანობას 90 დღით ჩამოშორებულნი არიან მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და უეფას თავკაცი მიშელ პლატინი.

კობა კობახიძე

◎ თალითი

სავიერ მასკერანოს ერთწლიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა

არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და კატალონიის „ბარსელონას“ ნახევარმცველ სავიერ მასკერანოს ერთწლიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა. ამის შესახებ ესპანური მედია წერს. საქმე ისაა, რომ არგენტინელი ფეხბურთელი 2011 და 2012 წლებში გადასახადების გადახდას თავს არიდებდა.

სამხრეთამერიკელს 2011 წლის დარღვევისთვის 4, ხოლო 2012 წლისთვის 8-თვიანი პატიმრობა შეუფარდეს. გარდა ამისა, სავიერი სერიოზულ ფულად ჯარიმას გადაიხდის: კერძოდ, პირველი წლის გამო 235 ათას ევროს, ხოლო მეორე წლისთვის – 581 ათას ევროს, რაც ჯამში 816 ათას ევროს უტოლდება.

„ბარსელონას“ მოთამაშემ ესპანეთის საგადასახადო სამსახურს ჯამში 1.5 მილიონი ევრო დაუმალა და მას, გარდა ჯარიმებისა, აღნიშნული თანხის დაფარვაც სრულად მოუწევს.

გიორგი ზოთაძე

დედამიწის ზურგზე

კაიროს ერთ-ერთ რესტორანში ისროლეს „მოლოტოვის კოქტეილი“, დაიღუპა 16 კაცი

ზოგიერთი მონაცემებით, შეტევა მოხდა ერთ-ერთ ღამის კლუბში. რამდენიმე კაცი დაიჭრა. ბოროტმოქმედი, სავარაუდოდ, ადრე ამ დაწესებულებაში მუშაობდა და ის გაათავისუფლეს.

პაკისტანის ადვოკატი ელისაბედ მეორისაგან ითხოვს, მისცენ ბრილიანტი მისი გვირგვინიდან

გასაოცარ ქვაზე, რომლის წონაც 105 კარატია და რომლის ისტორიაც მეთოთხმეტე საუკუნიდან იწყება, პრეტენზიას აცხადებენ ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი და ირანი, მაგრამ ლონდონი ყველას უარს ეუბნება. პაკისტანელი ადვოკატი ირწმუნება, რომ ბრილიანტი „კოხინური“ ეკუთვნოდა პაკისტანის პენჯაბის პროვინციას და „ძალადობითა და იძულებით“ წაიღეს ინგლისელებმა მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – ავღანელი თალიბების ლიდერი დაიღუპა ჭრილობებისგან, რომლებიც მიიღო საველე მეთაურებთან ურთიერთსროლის დროს



პარასკევს ახტარ მანსურის დაღუპვა დაადასტურა ავღანეთის ხელისუფლებამ. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ოთხშაბათს „თალიბანის“ მეთაურმა მიიღო სერიოზული ჭრილობები საველე მეთაურებთან შეხვედრის დროს, რომელიც გადაიზარდა დავაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. მანსურის გარდა დაიღუპა კიდევ 5 მაღალი რანგის ბოევიკი.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა პროტესტი პუტინის ვიზიტის გამო ყირიმში

საპროტესტო ნოტა მოთხოვნით – „შეწყვიტოს ასეთი ვიზიტების პრაქტიკა და განმარტოს რუსეთის ხელმძღვანელობის დემონსტრაციული უპატივცემლობის მიზეზები უკრაინის მოქმედი კანონმდებლობისადმი და საერთაშორისო ნორმებისადმი“ – გაეგზავნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

რუსეთი ამზადებს კიდევ 2 ბაზას ავიაციისთვის სირიის ხომსის პროვინციაში

ხომსის პროვინციაში ფართოვდება ერთი ბაზა და უკვე გამოიყენება შვეულმფრენების გაფრენისათვის მეორე, ამტკიცებენ სამართალდამცველები. ბაზები შეიძლება გამოყენებული იქნეს ისლამურ სახელმწიფოზე ჰაერიდან თავდასხმის მხარდასაჭერად პალმირის რაიონში.

კალიფორნიაში ველური ციყვი თავს დაესხა საბავშვო ბაღს

ცხოველი შეიჭრა კლასში და უკბინა მასწავლებელსა და ერთ-ერთ მოსწავლეს რის შემდეგაც გაიქცა. სკოლის ადმინისტრაციას მოუწია წერილობითი ფორმით აეხსნა შეშფოთებული მშობლებისათვის, რომ ციყვის ქცევა გამოწვეულია იმით, რომ მღრღნელები შეეჩვივნენ, მიიღონ ადამიანების ხელიდან საკვები, და მოუწოდა, ნუ კვებავენ რბილბეწვიან აგრესორებს.

სულთათანა

გიორგი ნიკურაძე

გარდაიცვალა ცნობილი, ღვაწლმოსილი გეოლოგი, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, სამამულო ომის მონაწილე **გიორგი ნიკურაძე**.

დაიბადა 1923 წელს სამტრედიის რ-ნის სოფელ კულაშში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე.

1941წ. გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში და ბრძოლებით განვლო მთელი ომი, რომელიც დიადი გამარჯვებით ბერლინში დაამთავრა.

ომში გამარჯვებულმა ვაჟკაცმა უნივერსიტეტიც წარჩინებით დაამთავრა და 1949 წლიდან 2006 წლის დეკემბრამდე უწყვეტად მუშაობდა „საქნავთობის“ სახელოვან კოლექტივში, სადაც მას ხელმძღვანელ თანამდებობებზეც მოუწია მუშაობა და მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქართველი მენავთობეების მოღვაწეობაში, მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმ დროს აღმოჩენილ იქნა მაღალპროდუქტიული ათამდე ნავთობის საბადო, შედეგად ნავთობის წლიური მოპოვება 1983წ. 100 ათას ტონიდან 3.3 მილიონ ტონამდე გაიზარდა.

ბატონი გიორგი ომში ვაჟკაცობისა და შრომაში მიღწეული მრავალი წარმატებისთვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

მთავარი კი ის არის, რომ იგი ბუნებით უაღრესად კეთილშობილი და უმწიკვლო ადამიანი იყო.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივუსამძიმროთ მის შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ძვირფასი მამის, ბაბუის და დიდი პაპის სამუდამო სასუფეველში გადასვლა!

ნათელში ამყოფოს გიორგი ნიკურაძის კეთილი სული – მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!

საქართველოს ნავთობის, გაზისა და ნახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

განცხადება

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 21 დეკემბერს და დასრულდეს 2015 წლის 30 დეკემბერს.
3. პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 10:00-დან 17:00 საათამდე (ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა) შემდეგ მისამართზე- ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №61, (ყოფილი №9), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი №221.
4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდეს 2 ეტაპად:
ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება- 2016 წლის 4 იანვრიდან არა უგვიანეს 2016 წლის 15 იანვრისა;
ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2016 წლის 25 იანვრიდან არა უგვიანეს 2016 წლის 5 თებერვლისა.
5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურა წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენილ იქნეს არუგვიანეს 2016 წლის 18 თებერვლისა.
6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
ა) უმაღლესი განათლების მქონე;
ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.
7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
გ) უნივერსიტეტის შესაბამისი სფეროს განვითარების სამოქმედო გეგმა;
დ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
ე) ავტობიოგრაფია (CV);
ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

განცხადება

სს „თბილისის მონოლითმშენი“ აცხადებს, რომ 2015 წლის 25 დეკემბერს 16 საათზე ქ. თბილისში წერეთლის გამზ. №57-ში გაიმართება სს-ის საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა.

სს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მხატვრის, ხუროთმოძღვართა მრავალი თაობის აღმზრდელის, პროფესორ

ირაკლი ოჩიაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ნათელა, ვახტანგ დავითაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

ირაკლი ოჩიაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

კრიმინალი

ამოღებულია 571 აბი „სუბუტექსი“

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1995 წელს დაბადებული მარიამ კ. და 1979 წელს დაბადებული ვასილ გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა მარიამ კ-ს პირადი ჩხრეკისას 195 აბი, ხოლო ვასილ გ-ს პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას - 376 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ნარკოლოგიური შემოწმებით ვასილ გ-ს ბუპრენორფინის და მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

ნათელი პირით მიუხვალ!

89 წლის წინათ, 1926 წლის 8 დეკემბერს, ქუთაისში, მწერალ დავით ჩხეიძის (დია ჩიანელის) ოჯახში დაიბადა რეზო ჩხეიძე

შენს ხსენებაზე – ეთერი
ფიქრს ფიანდაზად ეგება,
შენი „მაია წყნეთელით“
და შენგან დარგულ
„ნერგებად“.
კადრებად შემოიჭრები
და სხვას ყველაფერს
წანისლავს,
ოხ, რა „ღიმილის ბიჭები“,

ოხვრა გოდერძის მამისა.
შენი სიკვდილის
არ მჯერა,
შენ მხოლოდ
გარდაიცვალე,
ჰოდა, ცრემლებით
ამჯერად
თავს უკვე არ გავიწვალებ.
ვერა, ვერ დაგაჩიავეს,
სხვებმა,
სხვის გზებს რომ მიუყვნენ,
და მამას –დია ჩიანელს
ნათელი პირით მიუხვალ!

ალექსანდრე შენგელია

რეკლამა 293-37-87 მაჩაბლის ქ. №7.

სკანვორდი



28 ნოემბერს გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები

1. ალექსანდრიტი. 2. ლიბრა. 3. ქანდა. 4. ნაგარკოილი. 5. ხალა. 6. გვრიტი. 7. აბანო. 8. რეგლამენტი. 9. კარავაჯო. 10. რაფაი. 11. ილოილი. 12. ურა. 13. ჯეჯილი. 14. გარეჯა. 15. პეკი. 16. ციურიხი. 17. აივენჰო. 18. მარიხი. 19. გლაგოლიცა. 20. მელიე. 21. გედი. 22. არეალი. 23. მეი. 24. ფიცროი. 25. არენა. 26. მისი. 27. ანიტა. 28. რაკეტა. 29. არკა. 30. ლილი. 31. აჯა. 32. იმრე. 33. ოდინი. 34. ერმაკი. 35. სოკრატე. 36. გლორია. 37. ინგირი. 38. ფილე. 39. მაზარა. 40. ერზია. 41. სეკვოია. 42. იკარია. 43. კიოტო. 44. ფორეჯი. 45. რეა. 46. ფარადა. 47. არხი.

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

– რით განსხვავდება ადამიანი ღორისგან?
– მთვრალი ღორი ადამიანად არ იქცევა.

* * *

– ეს რა კოშმარული წამლები მომიტანეთ? – ეკითხება ავადმყოფი ექთანს.
– რა წამლები? ეს თქვენი სადილია!

* * *

– სად მსახურობდი ჯარში? – ეკითხებიან პეტკას.
– პარიზის სიახლოვეს.
– რა მაგარია! მაინც სად, კონკრეტულად?
– ჩელიაბინსკში.
– მაგარი „სიახლოვეა“, აი!
– არ ვიცი, მაგრამ ამ ჩვენი ბატალიონის მეთაური ამბობდა, პარიზამდე 12 წუთის საფრენიაო.

* * *

ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ მანქანის მართვა იგივეა, რაც სექსი. თითქმის ყოველი მათგანი ფიქრობს, რომ იგი სხვებზე უკეთესია...

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე